


K 581

6. ეათიკავალი

სასოფლო-სამურნეო ცხოველის  
ჰემსკორიდოზების  
გადამწანი ტკიპები და მათთან  
გრძელება



საქართველოს სსრ სახელმწიფო გამოცემაშია

საქართველოს სსრ ცოდნის მიურნობის სამინისტრო  
საბეჭიო აკადემიური — კულტურული ინსტიტუტი

6. გათიყუფებული

სასოფლო-სამეცნიერო ცხოველთა  
კეგოსპორტის გაღმამანი  
გამოცემის და გათთან ბრძოლა

K 581  
1

2019-2623

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამოგებელობა  
თბილისი  
1949 წ.

## შ ე ს ა ვ ა ლ ო

ამოილეთ და მაჩვენეთ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დაავადებანი: პიროპლაზმოზი, ფრანსაიელოზი, თეილერიოზი და სხვები, რომლებიც ამჟამად გაერთიანებული არიან ჰე-მოსპორიდიოზების საერთო სახელწოდებით.

ამ დაავადებათა გადატანა ერთი ცხოველიდან მეორეზე მხოლოდ ტკიპების საშუალებით ხდება. ამგვარად ტკიპებს დიდი ზარალის მიყენება შეუძლიათ ცხოველთა სხვადასხვა დაავადებების გავრცელებით.

გარდა ამისა, ტკიპების მანქებლობა კიდევ იძაში გამოიტანება, რომ ისინი შინაურ ცხოველთა პარაზიტებს წარმოადგენ. დადგენილია, რომ ტკიპებით ძლიერ დატკიპინებული ძროხების წველადობა 42 % ან მეტადაც იკლებს, ნაკლებად დატკიპინებულ ანდა ტკიპებისაგან თავისუფალ ძროხების წველადობასთან შედარებით. მოზარდი ცხოველები ჩა-მორჩებან ზრდაში, იკლებს ცოცხალ წონაში.

ტკიპგადამტანებთან და პარაზიტებთან ბრძოლა მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ცხოველების შენარჩუნებისათვის და მათი პროდუქტიულობის აწევისათვის. ჰემოსპორიდიოზებისაგან გაფრთხილება (პროფაილაქტიკა) დამყარებულია ღონისძიებებზე, რომელთა საშუალებითაც ტკიპების მოსპობა თვით ცხოველებზე და საძოვრებზე ხდება, ანდა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ტკიპებისაგან თავდაცვა მათი მთაში, ტკიპებისაგან თავისუფალ საძოვრებზე გადაყვანით.

იმისათვის, რომ სწორედ იყოს აგებული ჰემოსპორიდიოზებთან და ტკიპებთან ბრძოლა, დროულად ჩიტარდეს ეს

ღონისძიებები პრაქტიკაში (მეურნეობებში), ჰეცხოველებ-ბის მუშავებს ცნობები უნდა ჰქონდეთ ამ დავალებათა გა-ჩენის და გაგრცელების შესახებ.

ვეტერინარულ ლიტერატურაში არ არსებობს შეჯიშე-ბული ცნობები ამ საკითხებზე, თუ მხედველობაში არ მივი-ღებთ სახელმძღვანელოს ვეტერინარულ პარაზიტოლოგიაში, რომელიც განსაზღვრულია სპეციალისტებისთვის (ვეტერინა-რისათვის) და რომელიც სადღეისოდ უკვე მოძველებულა.

იმისათვის, რომ ეს ხარვეზი შეესტული იყოს, საქარ-თველოს სამეცნიერო-კვლევითი ვეტერინალური ინსტი-ტუტი უშვებს ორ ბროშურას: ერთი ეხება სასოფლო-სამეცნი-ეო ცხოველთა ჰქონების აღმოჩენის (ი. ცომია); მეორე-წინამდებარე ბროშურა, რომელიც შეეხება ჰქონების აღმო-ჩენის გადამტან ტკიბებს.

წინამდებარე ბროშურა გათვალისწინებულია მკითხვე-ლთა ფართო წრისათვის; ვეტმუშავებისათვის, ზოოტექნიკო-სებისათვის, აგრონომებისათვის, სასაქონლო ფერმების გაზ-გეებისათვის, ბრიგადირებისათვის და მეცხოველეობის სხვა მუშავებისათვის, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ აღგა-ლებზე ტკიბის საწინააღმდეგო ღონისძიებებში.

### ზოგადი ცოდვები ტკიპების უსახებ

ტკიბები-წვრილი ფეხსახსრიანები გაერთიანებულნი არიან ერთ რაზმში — აკარინა (Acarina). ბუნებაში ტკიბები ფარ-თოდ არიან გავრცელებულნი; ერთნი ცხოვრობენ მცენარეებზე და მათი წვენით იკვებებიან, მათ დიდი ზარა-ლი მოაქვთ მემცენარეობაში, მაგ. აბლაბუდიანი ტკიბი, რო-მელიც ბამბის ბუჩქს და სხვა ნარგავებს ძლიერ აზარალებს; მეორენი ცხოვრობენ მარცვლეულის საწყობებში, მარც-ვალს, ფქვილს და სხვა პროდუქტებს აზიანებენ; წვრილი ტკიბები ორიპატიდები საძოვრებზე ცხოვრობენ და მეცხო-ველეობას ზარალს იმით აყენებენ, რომ ზოგიერთი ჰქონინ-თების (მუცლის ჭიბის) შუალედ პატრონებს წარმოადგენენ; ცხოვრები, ბალანსის ძოვის დროს ტკიბებს ყლაბავენ და

ჭიებით სნეულდებიან — ჰელმინთოზები ჩნდება. ცხოველების და ადამიანის კანში ცხოვრობენ მუნის (მღერი) და აკარიდოზის ტკიპები, რომლებიც ყველასათვის ცნობილ მუნს და აკარიდოზს იწვევენ. განსაკუთრებულ ჭაუფს წარმოადგენენ წითელკნიანი ტკიპები, რომელთა სახელწოდებაც მათი წითლად შეფერვისაგან წარმოდგება. მოზრდილი ტკიპები მცენარეებზე ცხოვრობენ, ლარვები კი (ზრდადაუსრულებელი, კვერცხიდან ახლადგამოსული ტკიპი) სხვადასხვა ცხოველებზე. ადამიანზე პარაზიტობის დროს კანის გაღიზიანებას და ანთებას იწვევენ, რომელსაც ხშირად თან სდევს შესვება.


ჰემოსპორიდოზების გადამტანი ტკიპები, საზოგადოდ შინაურ და გარეულ ცხოველთა და ფრინველთა სისხლით იკვებებიან. ხშირად ადამიანებზედაც გაღაღიან და საშიშ დაავადებებს იწვევენ: ენცეფალიტი, პარტახტიანი ციიბ-ცხელება და სხვ. ეს ტკიპები, სხვა ჭაუფის ტკიპებთან შედარებით ყველაზე მსხვილებია. ზოგიერთი სახეობის დედლები როდესაც ისინი სისხლით გაძლებიან  $2\frac{1}{2}$  სმ სიგრძეს აღწევენ. ჰემოსპორიდოზების გადამტანი ტკიპები იქსოდოიდეთა (Ixodoidea) ზეოჯასს ეკუთნიან, რომელიც ორ ოჯახს შეიცავს: იქსოდიდეთა (Ixodidae) ოჯახს ანუ სამოვრის ტკიპებს და არგაზიდეთა (Argasidae) ოჯახს ანუ ბინის ტკიპებს.

წინამდებარე ბროშურაში ჩვენ მხოლოდ საძოვრის ტკიპებს შევეხებით.

## საძოვრის ტკიპები

გარეგანი აგებულება. საძოვრის ტკიპების სხეული მოგრძო ფორმისაა, წინ ოდნავ შევიწროვებული, მთლიანი, არაა დასეგმენტებული (ნახ. 1). ტკიპის გარჩევა სხვა პარაზიტულ ტილებისაგან და ცხოველებზე და ფრინველებზე სხვა პარაზიტულ ცხოველებისაგან დაფილია სწორედ დაუსეგმენტებელი სხეულით და ოთხი შუალი ფეხით (მწერებს მხოლოდ სამი შუალი ფეხი და დასეგმენტებული სხეული აქვთ).

სხეულის წინა ნაწილზე მოთავსებულია პირის ორგანუები, პალპები, ხელიცერები და პიპოსტომი, რომელებიც ერთად ხორთუმს შეადგენენ. ხორთუმი სხეულს ხორთუმის ფუძის საშუალებით უერთდება (ნახ. 1). პალპები ოთხი ცი-



ნახ. 1. ტკიპი პიპოსტომი მარგინატუმ.

1 — ხორთუმი, 2 — ხორთუმის ფუძე, 3 — პალპები,  
4 — ზერაბის ფარი, 5 — თავალები 6 — ბრჭეალებით  
მისაწყვარი, 7 — 1 თავი, 8 — პიპოსტომი.

9 — კოქსა, 10 — სასქესო ხვრელი, 11 — პერიტომა,  
12 — ძუკოს ფარები, 13 — ანალური ზოლი,  
14 — ანალური ხვევლი.

ლინდრული წილაკისაგან შედგებიან. მეოთხე წილაკი ძლიერ ჰატარაა, მოთავსებულია მე-3-წილაკის ჩაღრმავებაში, მის წვეროზე მგრძნობიარე ჭავრების კონაა, რომელთა დახმარებითაც ტკიპი მისამაგრუბელ აღვილს არჩევს. პალპებს ნშირად აქვთ გამონაშვერები, ქაცვები, რომელთა საშუალებითაც ტკიპების ერთი სახეობის მეორისაგან გარჩევა ხდება. ხელიცერებით, რომელთა ბოლოებზედაც მოთავსებულია თავისუფლად მოძრავი ბასრი წვეროები, ტკიპი, ცხოველზე მიწოვების დროს კანში აქეთებს ჭრილობას, რომელშიც პი-

ჰოსტომი შეყავს. ჰიპოსტომი მოთავსებულია ხელიცერების ქვეშ და შეიარაღებულია რამდენიმე მწკრივი უკან მიმართული კბილანით, რის გამოც ტკიბს შეუძლია ცხოველს მაგრად მოეკიდოს.

ამისათვის, როდესაც უნდათ ტკიბის ცხოველიდან აყვანა, საჭიროა მისი ონავ ზევით აწევა; წინააღმდეგ შემთხვევაში ხორთუმი კანში დარჩება.

მიწოვების დასაწყისში, ჭრილობის გაკეთებამდე, ტკიბი უშვებს ნერწყავს, რომელიც ჭრილობას უმტკინეულოს ხდის.

დედალი ტკიბების საფარი შედგება ქიტინოვან კუტიკულისაგან, რომელიც ძლიერაა დანაოჭებული და სისხლის წოვის პროცესში სწორდება. ეს გარემოება საშუალებას აძლევს ტკიბს დიდ ზომებს მიაღწიოს და სისხლის დიდი რაოდენობა მოწოოს. მხოლოდ სხეულის ზოგიერთ აღგილას ქიტინის კუტიკულა არ იწელება და მაგარ ფარებს წარმოადგენს.

მამალ ტკიბს მთელი ზურგი დაფარული აქვს ფარით. ზოგიერთი სახეობის მამლებს ფარები მუცლის მხარეზედაც აქვთ, ამიტომ მამლებს სისხლის დიდი რაოდენობის შეწოვა არ შეუძლიათ. დედლებს, ნიმფებს და ლარვებს ზურგის წიანა მხარეზე პატარა ფარი აქვთ. ტკიბების ზოგიერთ სახეობებს ზურგზე, მის წინა ნაწილის მკერდით მხარეებზე, თვალები აქვთ. საძმოვრის ტკიბების ზურგის ფარი, საზოგადოდ დაფარულია ჩაღრმავებებით, ე. ი. პუნქტირებით და ლარებით, რომელიც მხედველობაში მიიღებიან ტკიბების სახეობის გარკვევის დროს.

დერმაცენტორის გვარის ტკიბებს, როგორც დედლებს ისე მამლებს, ზურგის ფარი დაფარული აქვთ თეთრი მარმარილოს მსგავსი ნახატით, რის გამოც ეს ტკიბები სხვებისაგან ადვილად განსხვავდებიან.

ზრდასრულ ტკიბებს აქვთ ოთხი წყვილი ფეხი, რომლებიც რ წილაკისაგან შესდგება. პირველ წილაკს კოქსა ეწოდება. (ნახ. 1). პირველი წყვილი ფეხების კოქსები (აღინიშნება — 1 კოქსები), ხშირად შეიარაღებულია ქაცვებით, ზოგიერთები კი მარწუხების მსგავსია (ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ კოქსები გახლებილია). ქაცვები ხელს უწყობენ ტკიბებს

ცხოველზე შერჩენას და სახეთაშორისო განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენენ. ფეხის უკანასკნელ ჭილაქს თათი ეჭოდება. თათის ბოლოებზე ხშირად ქაცვებია, ყოველთვის ერთი წყვილი ბრჭყალი და ძლიერი მისაწოვარი. მისაწოვარი განსაკუთრებით ძლიერია ფეხების პირველ წყვილზე, რაღაც პირველი წყვილი ფეხით ტკიპი გამვლელ ცხოველს ეკიდება.

პირველი ან მეორე წყვილი ფეხების მიმაგრების ადგილის გასწრების სასქესო ხერელი მდებარეობს. ნიმფებს და ლარვებს სასქესო ხერელი არა აქვთ.

მუცლის მხარეზევე მდებარეობს ანალური ხერელი, რომელიც სხეულის უკანა ნაწილშია. ანალურ ხერელთან მდებარეობს ანალური ზოლი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ანალურ ხერელს წინიდან უვლის (იქსოდეს გვარის ტკიპები) ზოგჯერ კი უკანა მხრიდან (ყველა დანარჩენ სამოვრის ტკიპებს).

ტკიპ ბოლოფილუს ანალური ზოლი არ ემჩნევა, რითაც იგი მკვეთრად განსხვავდება სხვა გვარებისაგან. ანალურ ხერელთან, ზოგიერთი სახეობის მამლებს ანალური ანუ მუცლის ფარები აქვთ. ფარების არსებობა, მათი რაოდენობა და ფორმა ტკიპების გვარებს და სახეობებს განსაზღვრავს.

სხეულის გვერდებზე, მეოთხე წყვილი ფეხების უკან მდებარეობენ სასუნთქი ხერელები (სტიგმები), რომელიც ტკიპის სხეულში გატოტილ სასუნთქი მიღების (ტრაქეების) ბოლოებს წარმოადგენენ. სასუნთქი ხერელები განლაგებულია განსაჯუთრებულ ფირფათებზე — პერიტრემებზე, რომლებიც სხეადასხვა სახეობებს სხვადასხვა ფორმისა იქვთ: მოგრძო, ოვალური, წაგძელებული. ლაზების სასუნთქი ხერელები არა აქვთ, მათი სუნთქვა სხეულის საფარველის საშუალებით ხდება (სუნთქვენ სხეულის ზედაპირით).

სამოვრის ტკიპების გამორკვევა. საბჭოთა კავშირში სამოვრის ტკიპების 60-მდე სახეობაა, რომლებიც ექვს შემდეგ გვარს ეკუთვნიან: იქსოდეს (*Ixodes*), ბოლფილუს. (*Bophilus*), ჰემათიზალის *Haemaphysalis*), დერმაცენტორ (*Dermacentor*), ჰიალომა (*Hyalomma*) და რიბიცეფალუს (*Rhipicephalus*).

იმისათვის, რომ ტკიბების რევენუ შესაძლებელი გახდეს ქ. ა. ერთი გვარისა და სახეობის მეორისაგან გარჩევა, უპირ-ჯელსად ყოვლისა საჭიროა ძირითადი განმასხვავებელი ნიშ-ნების ცოდნა; ასეთი ნიშნები ნაჩვენებია ნახ. 1 და ერთ-ერთი ტკიბის პილომას — სქემაზე გამოხატულებას წარ-მოადგენენ. ტკიბი უნდა ისინჯებოდეს ბინკულარის ან ლუ-ზის ქვეშ. ამ ნიშნებით და ქვემოლმოყვანილ ცხრილის დახ-მარებით ტკიბი უნდა გამორჩეულ იქნას გვარამდე: ცხრილი შეღენილია ზრდასრული ტკიბების დედლებისა და მამლების გამოსარევევად. ნიმფები უმეტესს შემთხვევაში გვანან დედ-ლებს, ამიტომ დედლების გამორჩევაში შეჩვეული ადამიანი წიმფების გამოკვლევასაც შეძლებს. გაცილებით ძნელია ლა-რევების, რევევა შათი მეტისმეტი სიმცირისა და სარევევი ცხრილების არარსებობის გამო.

### საძოვრის ტკიბების გვარების გამორჩევის ცხრილი

1. (2,3) ანალური ზოლი ანუსს უვლის წინ; თვალე-ზი არა აქვს; მამლებს მუცლის მხარე დაფარული აქვს ფა-რებით . . . . . იქსოდეს
2. (1, 3) ანალური ხერელი არა შესამჩნევი; თვალები აქვს; პალპები ძლიერ მოკლე, დანაკვთული; მამლები ძალაან წერილი, მოყვითალო ფერის, მუცლის ფარები არი წყვილი აქვს . . . . . ბოლოფილუს.
3. (1,2) ანალური ზოლი ანუსს უვლის უკანა მხრიდან; თვალები აქვს, ან სულ არა აქვს; პალპები სხვადასხვა ფორ-მის, მუცლის ფარები აქვს, ან არა აქვს.
4. (5, 1) კოქსები არაა გახლებილი; თვალები არა აქვს, პალპები ხშირად მკეთრად გაწეულია გვერდებზე; მამლებს არა აქვთ მუცლის ფარები . . . . . ჰემაფიზალის.
5. (4, 1) კოქსები ცოტად თუ ბევრად ღრმათაა გახლები-ლი; თვალები აქვს. პალპები არაა გაწეული გვერდებზე; მამ-ლებს მუცლის ფარები აქვს, ან არა აქვს.
6. (7) ზურგის ფარი თეთრი მარმარილოსებური ნახა-

ტით; ხორთუმის ფუნქცია სწორკუთხოვანი; პალპები მოკლე; მამლებს მუცელის ფარები არა აქვს. IV კოქსები დანარჩენებზე მსხვილებია . . . . . დერმაცენტრი.

7. (6) ზურგის ფარზე თეთრი მარმარილოსებური ნახატები არა აქვს; ხორთუმის ფუნქცია სწორკუთხოვანი ან ექვსკუთხოვანია; პალპები გრძელი, ან მოკლე; მამლებს მუცელის ფარები აქვს.

8. (9) ხორთუმის ფუნქცია ექვსკუთხოვანია; პალპები გრძელი; მე-2 და მე-3 წილაკების სიგრძე სიგანეზე მეტია; თვალები კარგად შესამჩნევი; მამლები სამი წყვილი მუცელის ფარით. . . . . ჰიალომა.

9. (8) ხორთუმის ფუნქცია ექვსკუთხოვანია; პალპები მოკლე; მე-2 და მე-3 წილაკების სიგრძე სიგანეს არ აღემატება; თვალები ნაკლებად შესამჩნევია; მამლებს თრი წყვილი მუცელის ფარი აქვთ; მოწითალო — ყავისფერი ტკიბებია.....

• • • • • რაპიცეფალუს.

### საძოვრის ტკიბების ზიოლოგია

განვითარება. დედალი ტკიბის მიერ დადებული კვერცხებიდან გამოდის ექვსფეხა ლარვა, რომელიც კანის ცვლის შემდეგ ნიმფად იქცევა. ნიმფას აქვს რვა ფეხი, მაგრამ ჯერ არა აქვს სასქესო ხვრელი. ნიმფა კანის ცვლის შემდეგ სქესმწიფე ტკიბად — მამალ ან დედალ ტკიბად იქცევა.

საძოვრის ტკიბების უმრავლესობა კვერცხებს დებენ დაცულ ტენიან აღვილებში: ტყის საფენში ნიადაგის ხვრელებში, მცენარის ფესვების ქვეშ და სხვ. საზოგადოდ ისინი სიმშრალეს და მზის პირდაპირ სხივებს ვერ იტანენ.

ლარვების გამოსვლა კვერცხებიდან კვერცხის დების დამთავრებიდან მე-10-30 დღეზე ხდება, როდესაც ლარვების ქიტინოვანი სამოსელი გამავრდება, დახლოვებით 3-6 დღის შემდეგ, ისინი იწყებენ ცხოველი მასპინძლის ძებნას, მიცოცავს ამაღლებულ აღვილებზე — ქვებზე, ბუჩქებზე, მაღალ ბალაზე. ამოძრავებს 1 წყვილ ფეხებს, რომლებზედაც მოთავსებულია გრძნობითი ორგანოები და ცხოველს უცლის.

ცხოველის მოახლოვებისას ლარვა მას 1 წყვილი ფეხებით ეკიდება. მასზე ადის და მიეწოვება. სხვადასხვა სტადიებს და ტკიპების სხვადასხვა სახეობებს მიწოვებისათვის თავისი რჩული ადგილები აქვთ, მაგ. ცხოველების თავზე, ყურებზე, მუცელზე და სხვ. ლარვა სისხლით 3-5-7 დღის შემდეგ



ნახ. 2. ცკინი თაკდასხის ძლიერობითი.

ძლება, ცხოველს სცილდება, თავდაცულ ადგილებში იმალება და კანს იცვლის, რის შემდეგაც ნიმფის სტადიაში გადადის. ნიმფა გამავრების შემდეგ, იგივე წესით, როგორც ლარვა ცხოველს ეკიდება, სისხლს დაახლოვებით 3-10 დღის განმავლობაში სწოვს და შემდგომი კანისსაცვლელად იმალე-

ბა. ნიმფების კანისცვლა რამოდენიმე დღიდან, რამდენიმე თვის განმავლობაში ხდება.

ნიმფიდან გამოსული დედლები და მამლები გამაგრების შემდეგ ცხოველებს აქტიურად სდევნიან. ცხოველებზე დედლები მაშინათვე ეკიდებიან და კვებას იწყებენ, მამლები კი, ზოგჯერ ცხოველს არ ეკიდებიან, ადგილს იცვლიან და დედლების მოძებნისას მათ ანაყოფიერებენ. განაყოფიერებული დედლები სწრაფად ძლებიან და კუჭ-ნაწლავში სისხლის დიდი მარაგით კვერცხების დასაღებად ცხოველს სცილდებიან. კვერცხის დების შემდეგ დედლები იღუპებიან.

გამრავლების აწერილი ტიპი ატარებს სახელწოდებას სამ მას პინ ძლი ან ის ას, რადგან მის დროს ტკიპი თანამიმდევრობით სამ მასპინძელს იცვლის. სხვა შემთხვევის დროს ლარგა, სისხლისწოვის შემდეგ მასპინძელს არ სცილდება და ცხოველზევე ნიმფა კანს იცვლის. ნიმფა აქავე ეკიდება, სისხლით ძლება და სქესმწიფე ფორმად საქცევად ვარდება. ამოსული დედლები და მამლები მეორე მასპინძელს ეძებენ. განვითარების მ ტიპს ორ მას პინ ძლი იანი ეწოდება. დაბოლოს, როგორც ლარვა ისე ნიმფა, შესაძლებელია სისხლისწოვის შემდეგ კანისსაცვლელად იგივე მასპინძელზე დარჩენ. ნიმფებიდან გამოსული ზრდასრული ტკიპები იმავე ცხოველს ეკიდებიან და მხოლოდ კარგად გამაძლარი დედალი ძირს კვერცხების დასაღებად ვარდება. აქ, განვითარების სამივე სტადია იკვებება და კანს ერთ და იმავე ცხოველზე იცვლის — ეს არის განვითარების ერთ მას პინ ძლიანი ტიპი.

კვება. ყველა იქსოდიდეს ტკიპები სისხლით იკვებებიან. ცხოველებს, რომლებზედაც ტკიპების კვება ხდება, მასპინძლები ეწოდება. ტკიპებს მასპინძლებად გამოყენებული ჰყავთ შინაური და გარეული ცხოველები, ფრინველები და ზოგჯერ აღამიანიც.

ერთმასპინძლიანი ტკიპები ჩვეულებრივად შინაურ ცხოველებზე პარაზიტობენ. ერთმასპინძლიან ტკიპებს ეკუთვნის სამხრეთში ფართედ გავრცელებული ტკიპი — რამდენიმე ჰემისპორიდიოზის გაღამტანი — ბოლოფილუს კალკარატუს.

ეს ტკიბი სისხლს სწორეს უმეტესად მსხვილრქოსან საქონლი-  
დან, უფრო ნაკლებად გვხვდება ცხენებზე და ცხვრებზე, გა-  
რეულ ცხოველებს და ფრინველებს არა აქვთ პრაქტიკული  
მნიშვნელობა ამ ტკიბის გამოყვებაში, რაღაც მათზე ძალიან  
იშვიათად პარაზიტობს.

შეორე, ერთმასპინძლიანი ტკიბი ჰიალომა სკუპენზე ასუ-  
ვე, ძირითადად მსხვილრქოსან საქონლიზე პარაზიტობს, იშ-  
ვიათად ცხენებზე და უფრო იშვიათად ცხვრებზე. ლარვები  
ცხოველებს გვიან შემოღვიმით ეკადებიან, ზამთარში ნიძ-  
ფებად იქცევიან, ნიმფები სქესმწიფე ფორმებად, რომლებიც  
მხოლოდ გაზაფხულზე სრულ მაძლრობას იღწევენ და ვარ-  
დებიან. ამგარად ჰიალომა სკუპენზეს კვება ცხოველზე მთე-  
ლი ზამთარი გრძელდება.

ორმასპინძლიანი ტკიბების უმეტესობა აგრეთვე შინაურ  
ცხოველებზე იკვებებიან: მსხვილ და წვრილრქოსან საქონე-  
ლიზე და ცხენებზე, მაგრამ ამათში არიან სახეობები, რომელ-  
თა ახალგაზრდა სტადიები (ლარვები და ნიმფები) გარეულ  
ცხოველებზე და ფრინველებზე იკვებებიან.

ტკიბების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა ღონის-  
ძიებების მიღების დროს პრაქტიკულად მნიშვნელოვნია,  
ცოდნა იმისა თუ, რომელ ცხოველებზე ჩდება კვება ამა თუ  
იმ სახეობისა და რომელ სტადიაში. ყველა მასპინძელს ერთ-  
ნაირი მნიშვნელობა არა აქვს ტკიბების კვების საკითხებში.  
ცხოველთა დიდი უმრავლესობიდან, რომლებზედაც აღმოჩე-  
ნილია ტკიბები, ზოგს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ, ზოვს  
კი მეორეხარისხსხვანი; ერთი ახალგაზრდა სტადიების მა-  
პინძლებს წარმოადგენს, მეორენი კი ზრდადასრულებული  
ფორმების. ამიტომ ცხოველებს — მასპინძლებს ყოფენ შემ-  
დეგ ჯგუფებად: ძირითადი და საბოლოო მასპინძლები, —  
რომლებზედაც სქესმწიფე ტკიბები იკვებებიან და შუალედი  
მასპინძლები, რომლებზედაც ახალგაზრდა სტადიები იკვებე-  
ბიან. ძირითადად მასპინძლებში არჩევენ: მთავარს, ე. ი. ისეთს,  
რომელსედაც ტკიბების უმეტესობა იკვებება, მეორეხარის-  
ხვანს, რომლებზედაც ტკიბები იშვიათად პარაზიტობენ და

შემთხვევითს, რომლებზედაც ტკიპები ძალიან იშვიათად გვხვდებიან. მაგალითად დერმაცენტორ მარგინატუსისათვას, — (ცხენების პირობლაზმოზის გადამტანი ტკიპი) — მასპინ-შელთა რაოდენობა 40 სხვადასხვა სახეობას იღწევს; როგორც შინაურს, ისე გარეულს; მათ შორის სქესმწიფე ტკი-პებისათვის მასპინძლებია; ცხენები, მსხვილრქოსანი და წვრ-ლფეხა საქონელი.

ამ ცხოველებზე, განსაკუთრებით მსხვილრქოსანზე და ცხვრებზე ტკიპების უმეტესი რაოდენობა იკვებება. მეორე-ხარისხოვანი მასპინძლებია: მელი, მელა, კურდელი. მთავარი შუალედი მასპინძლებია: თრია, ტყის თაგვები, მე-მინდვრიები, ზაზუნები. ცხვრების ბაბეზიელოზის გადამტანი ტკიპის რიპიცეფალუს ბურზას მთავარ მასპინძელს, როგორც სქესმწიფე ისე ახალგაზრდა სტადიებისათვის მსხვილრქოსანი საქონელი წარმოადგენს, მეორე ხარისხოვან მასპინძელს კა ცხვრები და ცხენები.

გარეულ ცხოველებს, როგორც მასპინძლებს პრაქტიკუ-ლი მნიშვნელობა არა აქვთ, რადგან მათზე რიპიცეფალუს ბურზა ძალიან იშვიათად პარაზიტობს. ჰიალომა მარგინატუმ, ცხენების ჰემოსპორიდოზის გადამტანი, ზრდადასრულებულ სტადიაში უმთავრესად მსხვილრქოსან საქონელზე პარაზი-ტობს, ხოლო ახალგაზრდა სტადიებში კი კანონზომიერად გა-რეულ ფრინველებზე და ზოგჯერ შინაურ ფრინველებზედაც. ამგვარად ცხენებისა და ცხვრების ჰემოსპორიდოზების გა-დამტანებთან ბრძოლის დროს, ლონისძიება უპირველესად, ყოვლისა მიმართ, რომელზედაც ტკიპების უმეტესი მასა, პარაზიტობს, ხოლო ცხენების ჰემოსპორიდოზებთან ბრძოლის დროს სა-ჭიროა ბრძოლა ჩატარდეს მორღნელებთან.

ტკიპ-გადამტანებს უნარი აქვთ ღირსანს იშიმშილონ. დაღვენილია, რომ ბოოფილუს კალკარატუსის ლარვები მშა-ვრები 7 თვემდის სძლებენ. დერმაცენტორის ზრდასრული ფორმები მშავრები ორ წლამდე ცოცხლობენ. ეს თავისებუ-რება მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ტკიპებთან ბრძოლის დროს.

სეზონურობა. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პემო-  
სპორტიდიოზები სეზონური დაავალებანია. როგორც ცნობი-  
ლია, ისინი გაზაფხულზე იწყებიან. ზაფხულის განმავლობაში  
გრძელდებიან და შემოდგომაზე ნელდებიან. ჰემოსპორტიდიო-  
ზების გაჩენა დაკავშირებულია ტკიპ-გადამტანების გაჩენაზე,  
ამიტომ, მა დაავალებათა თავიდან მაცილებლად ტკაბების  
ცალკეული სახეობების პარაზიტობის სეზონურობის ცოდნა  
აუცილებელია ზოგიერთ ღონისძიებათა ჩატარებისათვის.  
მაგალითად იმისათვის, რომ დადგენილი იყოს ვადები საქონ-  
ლის საზაფხულო საძოვრებზე გადასაყვანად, საჭიროა ცოდნა  
თუ როდის ხდება ტკიპ-გადამტანების საზამთრო და გარდამა-  
ვალ საძოვრებზე გაღვიძება. ცნობილია, რომ გარდამავალ  
საძოვრებზე ტკიპ-გადამტანები უფრო გვიან იღვიძებენ, ვი  
დრე საზამთრო საძოვრებზე, გარდა ამისა სამხრეთის ფერ-  
დობებზე, რომლებიც მზისაგან შეკეთესად თბებიან, ტკიპები  
აქც ადრე იღვიძებენ. ამიტომ, აუცილებელი ხდება ადგი-  
ლობრივი საძოვრების შესწავლა, იმისათვის რომ დადგენი-  
ლი იყოს თუ რომელ საძოვარზე რა ღრის ჩნდებიან ესა თუ  
ის ტკიპები და ამის მიხედვით ხდებოდეს საძოვრების გა-  
მოყენება.

გაზაფხულზე, საქონელზე ტკიპების გაჩენასთან ერთად,  
საჭიროა დადგენილ იქნას თუ რომელი სახეობა პარაზიტობს,  
რადგან ყველა ტკიპი არაა, გადამტანი და გარდა ამისა ზოგი  
შოთვანი შესაძლებელია გრაზამთრებული იყოს.

ზევით უკვე იყო მოხსენებული, რომ ჰიალომა სკუპენზე  
იზამთრებს საქონელზე ე. ი. ლარვები შემოდგომაზე ეკიდე-  
ბიან ცხოველებს, მთელ ზამთარს მათზე რჩებიან, ბიოლოგი-  
ურ ციკლს გაივლიან და გაზაფხულზე საქონელზე უკვე მო-  
ზრდილ ფორმებს გხვდებით. ჰიალომა დეტრიტუმის ნიმუჟე-  
ბიც ზამთარში პარაზიტობენ. ასეთი ტკიპებისათვის ცხოველე-  
ბზე გადაზამთრება მათ სასიცოცხლო ციკლს წარმოადგენს.  
განვითარების სეზონურობას უფრო ღაწვრილებით შევეხვე-  
ბით, როდესაც ლაპარაკი გვექნება საქართველოში გავრცე-  
ლებულ ტკიპების მთავარ სახეობებზე.

ეხლა ავღნიშნავთ მხოლოდ, რომ წლის არც ერთ სეზონ-

ში სასოფლო სამეურნეო ცხოველები არ არიან თავისუფალი ტკიპებისაგან, მაგრამ ჰემოსპორიდიოზების გაღამტანი ტკიპები, როგორც წესი, გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე პარაზიტობენ, და ამასთან ტკიპების სხვადასხვა სახეობების პარაზიტობა სხვადასხვა ჰემოსპორიდიოზების გაჩენას აპირობებს. გაზაფხულზე, მარტის თვითან საქონელზე ბოოფილუს კალკარატუსი ჩნდება და ქმნის საშიშროებას მსხვილ-რქოსან საქონლის ჰემოსპორიდიოზებით დაავალებისა; აპრილის ბოლოდან, მაისის დასაწყისში ჩნდებიან ცხვრების ბაზეზიელოზის გადამტანები და ოწყება ცხვრების დაავალება.

ზაფხულში თეილერიოზის გადამტანების გაჩენასთან ერთად, ჩნდება მსხვილრქოსანი საქონლის თეილერიოზი.

საქონლის ჰემოსპორიდიოზებით დაავალების ცალკეული შემთხვევები შემჩნეულია ზამთარშიც, მაგრამ იგი არაა დამოკიდებული ტკიპების გაჩენასთან (ზამთარში პარაზიტული ტკიპები ის ტკიპება, რომლებიც საქონელს შემოდგომაზე მოეკიდნენ) და ახსნება უკვე არსებული ავადმყოფობის შექცევით (რეციდივი).

ცხენების ჰემოსპორიდიოზები რეგისტრირებულია აპრილიდან სექტემბრამდე.

### საძოვრის ტკიპების მნიშვნელობა მეცნიერებაში

ტკიპები როგორც პარაზიტები. ტკიპების განვითარებისა ყოველი სტადია (გარდა კვერცხისა) თავისი მასპინძლის სისხლით ან ლიმფით იკვებება, — განსაკუთრებულად ბევრ სისხლს სწოვენ დედლები. ზოგიერთ სახეობის დედლები, სისხლის წოვის შემდეგ წონაში 1000-1300 მგ იმატებენ მაშინ, როდესაც მშეირ მდგომარეობაში 20-25 მგ-ს იწონის. მასობრივი დატკიპინების დროს, როდესაც ერთ ცხოველზე ტკიპები ათასობით დაითვლება; ცხოველი რა თქმა უნდა დიდი რაოდენობით ჰყარგავს სისხლს.

თუ ასეთი მდგომარეობა თვეობით გაგრძელდა, მაშინ ცხოველი ძლიერ ხდება, მისი პროდუქტიულობა ეცემა, ეცემა აგრეთვე მისი წინააღმდეგობის უნარი სხვადასხვა დაავა-

დუბათა მიმართ. სისხლის მექანიკურ დაკარგვასთან ერთად, შესამჩნევი ხდება ნერწყვით ინტოქსიკაცია (მოწამვლა). აქა- დემიკოსს ე. ბავლოვსკის სპეციალური გამოკვლევებით, გა- მორკვა, რომ ტკიბების ნერწყვის გავლენა ცხოველის კანზე ღრმა ორგანულ ცვლილებებს იწვევს. კანი, ტკიბის ნაკენის ირგვლივ კვდება, რაც გამოწვეულია ნერწყვის პირდაპირი ტოქსიური გავლენით. ტკიბების ჩამოცვენის შემდეგ, მათი მოკიდების ადგილზე, კანზე თეთრი წერტილების სახით გა- მაგრებები ჩნდება. კანის მთლიანობის დარღვევასთან ერთად, ისნება გზა მიკრობების ჭრილობაში შესასვლელად.

ტკიბების მოკიდების ადგილებზე ხშირია კანის ფლევ- მონაზური ანთების შემთხვევები. კანის მწვავე ანთებით პროცესები ტკიბების კბენის ადგილებზე, გამოწვეული მეო- რადი ინფექციით ხშირად ქრონიკულ ფორმაში გადადიან, რასაც შემაერთებელი ქსოვილის განვითარება მოსდევს, რას გამოც ტყავი ძალიან სქელდება, უხეშდება და გამომუშავე- ბის შემდეგ ტექნიკურ ფასს კარგავს.

გარდა ამისა შემჩნეულია მასპინძლის ორგანიზმის მო- წამვლა. როდესაც ტკიბებს წვრილ ლაბორატორიულ ცხო- ლებზე კვებავენ, შემჩნეულია ბაჭიების, ზღვის გოჭებისა და სხვათა დაღუპვა. ამ შემთხვევებში, მოწოვილი სისხლის რაოდენობა არაა ისეთი რომ სისხლის დაკარგვისაგან სიკვდი- ლი გამოიწვიოს; მიზეული სიკვდილიანობისა ნერწყვით მოწამ- ვლაში უნდა ვეძიოთ.

შინაურ ცხოველებში შემჩნეული იყო დამბლა, რომე- ლიც ტკიბების გაცლის შემდეგ გაივლის.

სეროთ მოწამელას და სისხლის დაკარგვას, ძლიერი დატ- ფიბიანების დროს, ცხოველი გახდომამდე და ზოგჯერ სიკვდი- ლამდე მიჰყავს, ასეთი შემთხვევები ხშირია ცხვრებში და ძალლებში.

ტკიბები, როგორც დაავალებათა გადამტანები, საძოვრის ტკიბებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ, როგორც აღა- მიანისა და ცხოველების მრავალნაირ დაავალებათა გადამტა- ნებს. დაავალება, რომელიც გამოწვეულია გადამტანის სა-

შუალებით, აქადემიკოს ე. პავლოვსკის ტერმინოლოგიით წოდებულია, როგორც ტრანს მისიული დავადება.

პირველადი მოსაზრება იმის შესახებ, რომ დაავადებანი ფეხსასრიანებით გადატანება, რუსმა მეცნიერმა მინხმა 1873 წ. გამოსთქვა. ეს სწორი მოსაზრება დადასტურებული იყო ინგლისელი მეცნიერების მიერ მხოლოდ 10 წლის შემდეგ, და მინხმის იჯეები შემდეგ დიდ მასალაზე გამართდა.

მრავალი დაავადების მიმართ, ტკიპები მათი სპეციფიური და ერთადერთი გადამტანები არიან; ასეთ აეადმიკოუნდებად ითვლება ჰემოსპორიდიოზების ყველა სახეობა: პიროპლაზმოზი, ფრანსაილოზი, ბაბეზიელოზი, ნუტალიოზი, ანაპლაზმოზი და სხვ.

ამასვე ეკუთვნის ადამიანის ენცეფალიტი, ტკიპების პარტახტიანი ტიფის, ციებ-ცხელებები და ცხენების ენცეფალიტი. ზემოდ ჩამოთვლილ დაავადებათა გამომწვევები თავიანთი ბიოლოგიური ციკლის ნაწილს გაივლიან ტკიპის სხეულში. მაგ. პიროპლაზმოზის გამომწვევი პიროპლაზმა, სასოფლო-სამეურნეო ცხოველის ორგანიზმში უსქესო გზით ვითარდება, ხოლო ტკაბ-გადამტანის სხეულში სქესობრივი გზით ამგვარად პიროპლაზმის გავლა ტკიპის სხეულში აუცილებელი პირობაა მათი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. ბუნებრივ პირობებში პიროპლაზმა გარდა ტკიპისა არაფრით არ გადავართი ცხოველიდან მეორეზე.

ტრანსმისიული დაავადების მეორე ჭავჭავი, რომელსაც აღამიანის ჭირი, ტულარემია, ბრუცელოზი და სხვა ეკუთვნის, შეიძლება გავრცელებულ იქნას სხვა გზითაც, მაგრამ დაავადებათა ამ ჭავჭავისათვის ტკიპების მნიშვნელობა მნიშვნელოვანია თუ კი მხედველობაში მივიღებთ, რომ ტკიპებს დიდხანს შეუძლიათ სხეულში საწყისები შეინახონ. ამავე დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის გარემოება, რომ ზოგიერთი დაავადება სასოფლო-სამეურნეო ცხოველებზე გარეულ ცხოველებიდან გადადის, რომლებზედაც იქინა ახალგაზრდა სტალიებში პარაზიტობენ. დასწრებოვნების საწყისის შენარჩუნება ტკიპებში შემჩნეულია იმ შემთხვევაშიც,

როდესაც ტკიპები იყვებებიან ისეთ ცხოველებზე, რომლებიც აფალმყოფობის მიმართ გამძლეობას იჩენენ.

ამ შემთხვევაში დაავადება შესაძლებელია შენარჩუნებულ იქნას მრავალი წლების განმვლობაში იმ აღვილებ-შიც კი, სადაც დაავადებები შემჩნეული არ იყო.

დასწენებოვნების საწყისების გადატანა მემკვიდრეობით, ტკიპებში გავრცელებული მოვლენაა.

არსებობს ტკიპების დაავადების გამომწვევის გადატანის ორი ძირითადი ტიპი. გამომწვევის ერთი თაობის ფარგლებში გადატანა, როდესაც დასწენებოვნების საწყისი ახალგაზრდა სტალიების მიერ (ლარვა, ნიმფა) შეთვისებულია და სქესმომწიფებულ ფორმაში გადადის, რომელიც საღ ცხოველზე კვების დროს მას დაავადებას გადასცემს. სქესმწიფე ტკიპი ცხოველზე კვებისა და მისი დასწენებოვნების შემდეგ, ცხოველს სცილდება, რის შემდეგაც გამომწვევს ჰყარგავს და შემდეგ თაობაში დაავადებას გამომწვევისაგან უკვე თავისუფალია. ასეთი გასუფთავება არაა დამოკიდებული უკუ ტკიპმა რომელ ცხოველზე იკვება, დაავალებულზე თუ საღზე.

მეორე ტიპი გადატანისა, ეს არის კვერცხის შემწეობით. აქ მთავარი მნიშვნელობა სქესმწიფე სტადიას იქვს, რომელიც დასწენებოვნების საწყისს ითვისებს, ხოლო ცხოველს ასწენებოვნებს შემდეგი თაობის სქესმწიფე ფორმა. ასეთი გზით ხდება ცხოველების ჰემოსპორიდიოზების მრავალნაირი სახეობებით დაავადება. ტკიპების ზოგიერთი სახეობები, რომელნც დასწენებოვნების საწყისს კვერცხში ატარებენ, დაავადებას უკვე ლარვის სტადიაში გადაიტანენ, რაც ცნობილია ერთმასპინძლიან ტკიპისათვის — ბოლოილუს კალკარატუსისათვის. უკანასკნელ დრომდე ფექტობდნენ, რომ უკვე მეორე თაობაში კვერცხში ხდებოდა გასუფთავება დასწენებოვნების საწყისისაგან თუ კი ტკიპი იკვებება ისეთ ცხოველზე, რომელიც დაავადებას არ ლებულობს. მაგრამ, სპეციალური ცდებით და დაკვირვებით დადგენილია, რომ ტკიპები, რომდენიმე თაობის მანძილზე (ორი, სამი და შვი-

დი თაობაც კი) დასწებოვნების საჭყისისაგან არ თავისუფლდებიან.

ჰემოსპორიდიოზების გადაცემა ტკიბების მიერ ხდება შემდეგნაირად: დედალი ტკიბები, ავაღმყოფ ან ავაღმყოფობა-მოხდილ ცხოველის სისხლთან ერთად, მიკროსკოპიულ პარაზიტებს ჰემოსპორიდიებს იწოვს, რომლებიც სისხლის წი-თელ ბურთულებში არიან მოთავსებულინ. ტკიბის ნაწლავში მოხველრილ ჰემოსპორიდიებში არჩევენ პარაზიტების ორ ფორმას: ერთი წვრილები, მათ მამლებათ სთვლიან, მეო-რენი მსხვილები — დედლები. წვრილი და მსხვილი ჰემო-სპორიდიები ნაწლავის უჭრედების ზედაფენის ნაპირებში გროვდებიან, სადაც როგორც ჩანს მათი განაყოფიერება ხდება. შემდეგ, ტკიბის სხეულში ისინი მთელ რიგ ცვლილებს გაივლიან, დედლის სასქესო ორგანოებში იჭრებიან, საიდანაც კვერცხებში გადადიან. კვერცხებიდან ლარვებში და შემდგომ სტადიებში ხვდებიან. ბოლოს ჰემოსპორიდიები ტკიბების სანერწყვე ჯირკვლებში და იქედან უკვე ნერწყვ-თან ერთად ჭრილობიან ცხოველის სისხლში ხვდებიან. ცხოველის ორგანიზმში მოხვედრილი ჰემოსპორიდიები სისხ-ლის წითელ ბურთულებში იჭრებიან, სადაც ისინი თავიანთ პარაზიტულ ცხოვრებას აგრძელებენ, იზრდებიან, მრავალდე-ბიან და იხალ ჰემოსპორიდიებს საჭყისს აძლევენ, რომლებიც, სისხლის წითელ ბურთულებს (ერითროციტებს) შლიან და ახლებში იჭრებიან. პარაზიტებით დასწებოვნებული სისხლის ბურთულები იშლებიან და მათი რაოდენობა მცირდება, რის გამოც დაავადებულ ცხოველს სისხლის ნაკლოვანობა უჩნდე-ბა. ჰემოსპორიდიები, თავის ცხოველ-მყოფელობის შედეგად გამოყოფენ შხამებს, რომლებიც ორგანიზმის საერთო მოწამ-ვლას იწვევენ. შხამების მოქმედების შედეგად ცხოველს სიც-ხეს აძლევს და ისეთი ორგანოები უზანდება როგორიცაა: გუ-ლი, ღვიძლი, ელენთა, სისხლის მიმოქცევის ქსელი, ლიმფუ-რი ჯირკვლები, ძვლის ტვინი, საჭმლის მომნელებელი სის-ტემა.

დაშლილი ერითროციტების ნარჩენები შარლთან ერთად გამოდის, რის გამოც შარლი წითლადა შეფერილი, რაც საბაბს

აძლევს, რომ ჰემოსპორიდიოზებს „სისხლიანი შარდი“ ეწოდოს.

ჰემოსპორიდიოზის სხვადასხვა სახის გამომწვევს თავისი გარეული გადამტანი ტკიპები ჰყავს, ისევე როგორც ცხოველ-თა თითოეულ სახეობას ტრანსმისიული დაავადების გარეული გამომწვევი ახასიათებს ე. ი. არსებობს მკაცრი სპეციფიურობა ჰემოსპორიდიოზების მასპინძლების მიმართ, მაგალითად, ცხვრების ჰემოსპორიდიოზი — ბაბეზიელოზი ვითარდება მხოლოდ ცხვრებისა და ოხების სხეულში, ხოლო გადამტანებში, — მხოლოდ ტკიპ რიპიცეფალუს ბურზას სხეულში. ზოგიერთ ტკიპებს შეუძლიანთ რამდენიმე სახეობის გამომწვევის გადატანა, მაგალითად ბოოფულუს კალკარატუსს გადააქვს მსხვილრქოსან საქონლის ჰემოსპორიდიოზების გამომწვევის სამი სახეობა: პირობლაზმოზი, ფრანსაიელოზი და ანაპლაზმოზი; სამაგიეროდ ბოოფულუს კალკარატუსს არ შეუძლია სხვა ცხოველების ჰემოსპორიდიოზის გადატანა. არსებობს დაავადებათა გამომწვევების ზოგიერთი სახეობანი, რომელიც ტკიპების რამდენიმე სახეობით გადაიტანება, მაგ. ცხენების პირობლაზმოზი გადაიტანება დერმაცენტორ მარგინატუსით და ჰიალომა მარგინატუმით.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნაპოვნია საძოვრის ტკიპების 27 სახეობა, რომელთაგანაც სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჰემოსპორიდიოზების გადამტანები არიან შემდეგი სახეობანი:

1. ბოოფულუს კალკარატუს, რომელსაც მსხვილრქოსან საქონლის პირობლაზმოზი, ფრანსაიელოზი და ანაპლაზმოზი გადააქვს.

2. რიპიცეფალუს ბურზა—გადააქვს ცხვრების ჰემოსპორიდიოზები (ბაბეზიელოზი და სხვები) და მსხვილრქოსან საქონლის პირობლაზმოზი.

3. ჰიალომა ანატოლიკუმ — მსხვილრქოსან საქონლის თეილერიოზის გადამტანი (ტროპიკული პირობლაზმოზი).

4. ჰიალომა დეტრიტუმ-გადააქვს მსხვილრქოსან საქონლის თეილერიოზი.

5. ჰიალომა მარგინატუმ და დერმაცენტორის გვარის

ტკიპებს გადააქვთ ცხენების პირობლაზმოზი და ნუტალიოზი.

6. რიპიცეფალუს სანგუინეუს — ძაღლების პირობლაზმოზის გადამტანი.

საქართველოს მთავარი სამოცრის ტკიპები.

ბოლოვილუს კალკარატუს

ეს ტკიპი ერთმასპინძლიანია ე. ი. მისი აქტიური სტადიები: ლარვა, ნიმფა და მოზრდილი ტკიპები, ერთ მასპინძელზე პარაზიტობენ და კანს მასზევე იცვლიან.

ამ ტკიპის მთავარი მასპინძელია მსხვილრქოსანი საქონელი. ნაკლები რაოდენობით გეხვდება ცხენებზე, სულ იშვიათად ცხვრებზე. შემთხვევით მასპინძლებს წარმოადგენენ ზოგიერთი გარეული ცხოველები და ფრინველები, მაგრამ გარეული ცხოველები ბოლოვილუს კალკარატუსის მექანიკური გამავრცელებელი არიან ტერიტორიაზე და არა მკვებავი მასპინძლები.


ბოლოვილუს კალკარატუსი ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, ნაგრამ ყველგან არა ერთნაირი რაოდენობით. საქონლის უდიდესი დატკიპიანება შემჩნეულია დაბლობტენიან აღგილებში. მშრალ ნახევრადულაპნია აღგილებში ბოლოვილუსი არ არის. მთის რაონები ასევე თავისუფალია ამ ტკიპისაგან. ძლიერ დაბლობი, გადაჭაობიანებული აღგილები (შავი ზღვის სანაპიროები), ძალიან ღარიბია ტკიპებით, ზოგი აღგილები სრულიად თავისუფლებია მათგან, მაგალითად კოლხიდის დაბლობის ზამთრის საძოვრები.

ყველაზე უკეთესი პირობები ბოლოვილუსის განვითარებისათვის მდებარეობენ 20-დან 800 მ ზღვის დონედან დასავლეთ საქართველოში და 1000 მ აღმოსავლეთ საქართველოში. ყველაზე ძლიერი დატკიპიანება შემჩნეულია მაინც აღმოსავლეთ საქართველოში.

საქონელზე ტკიპების პარაზიტობის სეზონია მარტიდან

სექტემბრამდე. ამ დროის განვითარება ხდება ტკიპების საში თაობის განვითარება.

თითოეული თაობის განვითარება შემდეგნაირად ხდება: ლარვა ცხოველზე ხუთი დღის შემდეგ ნიმფად იქცევა. ნიმფა გვებას იმავე ადგილას აგრძელებს საღაც ლარვა იქცებოდა, ან ცოტა გაღალგილდება. ექვსი დღის შემდეგ ნიმფა კანის ცვლას იწყებს და ზრდასრული ტკიპები — მამლები და დედლები ჩნდებიან. დედლების განაყოფიერება კანის ცვლის პირველივე დღეებში ხდება. შემდეგ დედლები კიდევ რამდენიმე დღეს იქვებებიან, სისხლის მარაგს იქეთებენ და კვერცხების დასაღებად ცხოველს სტოვებენ. ლარვიდან მოზრდილ ფორმამდე განვითარება 19-40 დღემდე გრძელდება, რაც დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურაზე და ტენიანობაზე.



ნახ. 3. ტკიპი ბოოფილუსი კვერცხების დებისას.

გაუნაყოფიერებელი დედლები ცხოველზე გაცილებით დიდხანს სხედან (გამოურკვეველია რამდენ ხანს), აგრეთვე ის ტკიპები, რომლებიც გადასაზამთრებლად რჩებიან.

ვივ აწინდში ტკიპები სისხლს ნაქლებს სწოვენ, და ამიტომ საქონელზე მოზამთრე ტკიპები თავის სრულ მაძღრობას მხოლოდ გაზაფხულის თბილ დღეებში აღწევენ.

ტკიპების უმრავლესობა იზამთრებს საძოვარშე, შეღარებით თავშეფარებულ ადგილებში, ბუჩქების ქვეშ დაცვენილი ფოთლების ქვეშ, ნიადაგის ნაპრალებში.

დადგენილია, რომ საქართველოს პირობებში იზამთრებენ კვერცხები, მშიერი ლარვები და მაძღარი დედლები. დედლების და მაძღების მცირე რაოდენობა საქონელზე იზამთრებს. ზამთრის განმავლობაში ტკიპების დიდი რაოდენობა იღუპება და ამიტომ გაზაფხულზე საქონელზე ტკიპები ნაკლებად პარაზიტობენ, ვადრე ზაფხულის ბოლოს და შემოდგომის პირზე. მთელი ზამთრის განმავლობაში ტკიპები უმოძრაოდ იყყოფებიან. გაზაფხულზე, თბილ ამინდებთან ერთად, როდესაც ნიადაგი შემთბარია, ტკიპები ზამთრის უმოძრაობისაგან იღვიძებენ, დედლები კვერცხების დებას იწყებენ, ხოლო გადაზამთრებული ლარვები ბალახის წვეროებშე აღიან და იქიდან საქონელს ეკიდებიან.

აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში ლარვების პირელი პარაზიტობა გაზაფხულზე მარტის თვეში იწყება, ეს ის ლარვებია, რომლებიც საძოვრებზე ზამთრობდენ. ცოტა გვიან, საქონელზე ჩნდებიან ლარვები, რომლებიც გადაზამთრებული კვერცხებიდან გამოიჩენენ და კიდევ უფრო გვიან ის ლარვები, რომლებიც გადაზამთრებული დედლებიდან გაჩნდენ. ეს არის ტკიპების პირველი თაობა, რომელიც ჰემოსპორიდიოზებით დაავადების პირველ ტალღას იწვევს, ეს ტალღა შენიშნულია მარტის თვეში.

ივნისში, ზოგ აღგილებში უფრო გვიან ივლისში, ტკიპების რაოდენობა საქონელზე მკვეთრად ეცემა, მაძღარი დედლები საქონელს კვერცხების დასადებად სცილდებიან. ტკიპების განვითარება ბუნებაში — კვერცხის დება და ლარვების გამოსვლა, ამ დროს საუკეთესო პირობებში მიმდინარეობს, რაც დატკიპიანების შემდეგი ტალღით დასტურდება; ეს ტალღა კველაზე დიდია წლის განმავლობაში, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებისათვის შემჩნეულია აგ-

ჭისტოს თვეში. ეს არის ტკიბების მეორე თაობა, რომელიც ძლიერ დაავადებას იწვევს ისეთ ცხოველებში, რომელებსაც მანამდე ჰემოსპორიდიოზები არ უხდია, ანდა იმათში რომლებიც სხვა აღვილებიდან იყვნენ გადმოყვანილი.

დედლების მეორე თაობა ცხოველებიდან დაცვენის შემდეგ, უფრო ცუდ პირობებში ვარდება, რაღაც ძლიერი სიმშრალე და სიცხე ხელს უშლის განვითარების ნორმალურ მსვლელობას და ამიტომ ეს მესამე ტალღა, რომელიც სექტემბრიში შემჩნეული ისეთ სიძლიერეს არ აღწევს როგორც მეორე. (მრუდი № 1) მრუდი № 1-ზე ნაჩვენებია, როგორ ზდება საქონლის დატკიბიანება თბილისის რაიონის ერთ-ერთ პუნქტზე (ყოვილი ნორიოს საბჭოთა მეურნეობა). ტკიბების ჰარაზიტობის ვადები წლების მიხედვით ცოტად თუ ბევრად ცვლება და სხვადასხვა პუნქტზე მოცემული სქემიდან ვადახრას განიცდის.

მთიან რაიონებში სამი თაობას მაგიერ შეიძლება იყოს მხოლოდ ორი, რაღაც გაზაფხულზე პარაზიტობა უფრო გვიან ზდება და შემოღომაზე ტკიბები აქტიობას უფრო აღრე ჰყაუყან.

1500 მ. ზევით ზღვის დონედან ბოოფილუსი აღარ ვითარდება; ძალიან იშვიათად, საქონელთან ერთად ატანილი ტკიბები შემოღომაზე ერთ თაობას იძლევიან, რომელიც შეუძლია საქონლის მასობრივი დაგვალება გამოიწვიოს. ასეთი შემთხვევები ძლიერი გვალვის წლებში, ზოგჯერ შემჩნეული იყო აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ მთიან რაიონებში, მაგალითად: მსხვილრქოსან საქონელში ჰემოსპორიდიოზების გაჩენა წალკაში 1948 წ., სამხრეთ ოსეთის ზოგიერთ მთიან რაიონებში ჰემოსპორიდიოზი 1938 წ. და სხვ.

ბოოფილუს კალკარატუსს აქვს უდიდესი მნიშვნელობა სხვა საძოვრის ტკიბებთან შედარებით, რაღაც წარმოადგენს მსხვილრქოსან საქონლის ისეთი ჰემოსპორიდიოზების გაღამტას, როგორიცაა პიროპლაზმოზი და ფრანსაიელოზი; გაღააქვს აგრეთვე ანაპლაზმოზიც, რომელიც მართალია იშვიათდაა რეგისტრირებული, მაგრამ დიდი ზარალის მომტანია, რაღაც მისი მკურნალობა არ ხდება. ბოოფილუს კალკარა-

ტუსი ფართოდაა გავრცელებული და ხშირად დიდი რაოდენობით პარაზიტობს. მაგ. ღუშეთის საძოვრებზე აგვისტოს ოცემი ერთი ძროხიდან 3000 ტკიბი იყო აღებული, თანაც ამ ძროხაზე დარჩა ბევრი ლარვა, რომელიც თავისი სიმცირის გამო აღრიცხავში ვერ მოხვდენ. თბილისის რაიონში, ნორიოს მდამიობში თათოვეულ ძროხაზე რთი დღის განმავლობაში 1500-ზე მეტი ტკიბის აღება იყო შესაძლებელი. თუ მხედველობაში მივიღებთ ბოლოილუს კალკარიტუსის ასეთ დიდ რაოდენობას გასაგები იქნება თუ როგორი მნიშვნელობა აქვს მას ჩვენი მესაქონლეობისათვის. ამ ტკიბებთან ბრძოლას ულიდესი მნიშვნელობა აქვს საქონლის შენარჩუნებისათვის და მისი პროდუქციის აწევისათვის.

### რიპიცეფალუს გურჯაა

რიპიცეფალუს ბურზა ჩვენს პირობებში ცხვრების პემონ-პორიდიოზების ძირითად გადამტანს წარმოადგენს. ცხვრების მასობრივი დაავადება შემჩნეულია ზაფხულის პერიოდში, როდესაც დაგვანებულია მათი საზაფხულო საძოვრებზე გადაყვანა და ცხვრებზე უკვე მოასწრეს პარაზიტობა ამ სახეობის ტკიბების მოზრდილმა ფორმებმა.

ცდების შემწეობით მოხერხდა ცხვრების დასნებოვნება ახალგაზრდა სტადიებით, რომლებიც ბუნებრივ პირობებში შემოღომით — სექტემბერში პარაზიტობენ. ცხვრების პემოსაპრიდიოზები შემოღომით ბუნებრივ პირობებში ძალიან იშვიათი მოვლენაა.

განვითარების ტკიბის მიხედვით, რიპიცეფალუს ბურზა ორმასპინძლიან ტკიბს ეკუთვნის, ე. ი. იგი ორჯერ იცვლის მასპინძელს: ლარვა და ნიმფა ერთზე პარაზიტობს და მოზრდილი ტკაბა მეორე მასპინძელზე.

როგორც ახალგაზრდა, ისე მოზრდილი ტკიბები ყველა სასოფლო-სამეურნეო ცხველებზე პარაზიტობენ; წვრილ და მსხვილ-რქოსან საქონელზე, ცხენებზე, მაგრამ მისი მთავარ მასპინძელია ისევე, როგორც ბოლოილუსისათვის მსხვილი რქოსანი საქონელი. ცხვრებზე და ოხებზე ტკიბები ნაკლებად

გვხვდებიან, მწოლოდ ცალკეულ შემთხვევებში შემჩნეულია ცხვრების ზამთრის საძოვრებზე ძლიერი დატკიპიანება იქ, სადაც არაა მსხვილრქოსანი საქონელი; განსაკუთრებით ეს შემჩნეულია შემოდგომით, ახალგაზრდა სტადიების პარაზიტობის პერიოდში, რომელთა რაოდენობაც ცხოველებზე გაცილებით მეტია, ვიდრე ზრდასრული-ფორმების.

ზრდასრული ტკიპების რაოდენობა ერთ ცხოველზე ისე დიდ რაოდენობას არ აღწევს როგორც ბოოფილუსით დატკაპიანების დროს. ამ ტკიპის დიდი რაოდენობით გაერცელების ადგილებში ყოველ საკონტროლო ცხოველიდან (ძროხა) აღებული იყო 300 ტკიპი. ცხენებზე საზოგადოდ ერთეულები პარაზიტობენ.

გარეულ ცხოველებს ამ ტკიპების გამოკვებაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ.

რიპიცეფალუს ბურზა უშეტეს შემთხვევაში ცხოველს ცურთან, სასქესო ორგანოების ირგვლივ ეკიდება. ახალგაზრდა სტადიები მსხვილრქოსან საქონლის ზურგზე, განსაკუთრებით კუდის ძირში და გვერდებზე, ცხვარს კი ყურებზე.

რიპიცეფალუს ბურზას სხვადასხვა სტადიების გამოკვების ვადები შემდეგია: ზრდასრულებისათვის 6-12 დღემდე; ლარვებსა და ნიმფებისათვის 18-30 დღემდე.

რიპიცეფალუს ბურზას გაერცელება აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად თან ხვდება ბოოფილუს კალკარატუსის გაფრცელებას, უფრო მშრალ ადგილებში, რაოდენობით რიპიცეფალუს ბურზა მეტი გვხვდება, უფრო ტენიანში კი — ბოოფილუს კალკარატუსი. დასავლეთ საქართველოში რიპიცეფალუს ბურზა იშვიათად გვხვდება (ქუთაისის რაიონი), შავი ზღვის სანაპიროებში კი სულ არაა. მაღალმთიანი საძოვრები დაწყებული 1500 მ ზღვის დონედან თავისუფალია რიპიცეფალუს ბურზასაგან, რაღაც აქ არა საკმარისი სითბო მისი განვითარებისათვის.

რიპიცეფალუს ბურზას პარაზიტობის სეზონი აპრილის ბოლოდან იწყება, ამ დროს უკვე ჩნდებიან პირველი ეჭვემ-ლარები მაისის შუა რიცხვებში ზრდასრული ტკიპების რაოდე-

ნობა მაქსიმუმს აღწევს, რის შემდეგაც დატკიპიანება კლებას ღწყებს.

ტკიპების გალვიძება ზამთრის უმოქმედობიდან მთლიანად დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურაზე. სიცივეების დროს რაც შემჩნეულია ხშირად მაისის პირველ რიცხვებში, ტკიპები ისევ ჰყარგავენ აქტივობას და არ ესხმან ცხოველებს. ეს მდგომარეობა უსაუოდ მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ცხვრების გადაყვანისას ზამთრის საძოვრებიდან მთაში. თუ თბილი ამინდების დადგომისას ცხვრის გადაყვანა დაყოვნდება, ეს ტკიპების მასობრივ პარაზიტობას და ჰემოსპორიდიოზების გაჩენას გამოიწვევს. დაგვიანებული გადაყვანა გვიანი გაზაფხულის შემთხვევაში ისე საშიში აღარ არის.

ცხვრის საზაფხულო საძოვრებზე დროული გადაყვანა ე. ი. რიპიცეფალუს ბურზას გაღიძებამდე, ჩვენს პირობებში ჰემოსპორიდიოზების პროფილაქტიკის ძირითად მეთოდს წარმოადგენს.

ახალგაზრდა სტადიები, ლარვები და ნიმფები, ცხოველებზე სექტემბრდან დაწყებული გვიან შემოდგომამდე პარაზიტობენ, ერთეული ეგზემბლარები დეკემბერშიც გაცვდებიან. მაძღარი ნიმფები ცხოველს სტოგებენ, შეფარებულ აღგილებზი იძალვებინ, სადაც მთელ ზამთრის უმოძრაოდ რჩებიან. გაზაფხულზე, პარილში ან ზოგჯერ მარტის ბოლოს, როდესაც ნიაღაგი შეთქმა, ნიმფები კანისცვლას იწყებენ, რის შემდეგაც მოზრდილი ფორმები გამოიდან. როგორც წესი, სამხრეთისაკენ მიმართულ მთის ფერდობებზე, სადაც მზე ნიაღაგს უკეთესად ათბობს, ტკიპები უფრო ჩნდებიან.

მაძღარი ნიმფების ნაწილი ხშირად ცხოველებს მაშინ სცილდება, როდესაც მათ საზამთრო ბინებში ათავსებენ, ასეთ შემთხვევაში ტკიპები ბაგაში იზამთრებენ, სადაც მათი აღმოჩენა შეიძლება კედლების ნაპრალებში. მთის კალთებზე და მაღლობებზე ტკიპები საქონელზე ჩნდებიან დაახლოვებით ორი კვირით გვიან, ვიდრე ბარში.

რიპიცეფალუს ბურზას აქვს მნიშვნელობა არა მარტო როგორც ცხვრების და თხების ჰემოსპორიდიოზის გადამტანია მსხვილრქოსან საქონლის

პირობლაზმოზისა და ცხენების ნუტალიოზისა. გარდა ამისა იგი მნიშვნელოვანია როგორც პარაზიტი. ოღნიშნულია შემთხვევები, როდესაც ლარვების და ნიმფების დიდ რაოდენობით პარაზიტობას ცხვრების სიკვდილიანობა გამოიუწვევა.

ბრძოლა რიპიცეფალუს ბურზასთან მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ცხოველების შენარჩუნებისა და მათი პრიდუქტიულობის აწევის საკითხის გადაჭრაში. უდიდესი შნიშვნელობა აქვს ამ ტკიბს მეცნიერებისაში. ამ ტკიბთან საბრძოლო ორნისძიებათა გამომუშავების დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, მისი ბიოლოგიური თავისებურებანი და მისი მოსახობა არა მარტო თვით ცხვრებზე უნდა ხდებოდეს, როგორც ეს გათვალისწინებულია ინსტრუქციით, არამედ სხვა სასოფლო-სამეურნეო ცხოველებზედაც, განსაკუთრებით მსხვილ-რქოსან საქონელზე, რომელიც ამ ტკიბის მთავარ გამოყვებს წარმოადგენს.

### შიალობა მარგინატუმ

ჰიალობა მარგინატუმი ცნობილია, როგორც ცხენების პეშოსპორიდიოზების გადამტანი. საქართველოში იყი ფართო გაგრცელებას პოულობს, გვკედება როგორც აღმოსავლეთი ისე დასავლეთ საქართველოში, ბარში, ველებში, მთის კალთებზე და მთიან რაიონებში 1300-მდე ზღვის დონედან.

განვითარების ტიპის მიხედვით ორმასპინძლიან სახეობას ეკუთვნის. ლარვა და ნიმფა პარაზიტობს ერთ მასპინძელზე, ზრდასრული ტკიბები მეორეზე.

ლარვები და ნიმფები პარაზიტობენ სხვადასხვა გარეულ ცხოველებზე, განსაკუთრებით ფრინველებზე, ზოგჯერ შინაურ ფრინველებზე (ინდაურები, ქათმები). სასოფლო-სამეურნეო ცხოველებზე ლარვები არ გვხვდებიან.

ზრდასრული ტკიბებისათვის მთავარი მასპინძელია მსხვილრქოსანი საქონელი; ნაკლებად გვხვდებიან ცხვრებზე, ცხენებზე, კამეჩებზე და სხვა სასოფლო-სამეურნეო ცხოველებზე.

ახალგაზრდა სტადიების პარაზიტობის სეზონია ფრინველებზე აპრილიდან ოქტომბრამდე. ზრდასრული ტკიბების პარა-

ზიტობისა კი მარტიდან ნოემბრამდე. ტკიპების მაქსიმალური რაოდენობა სასიფლო-სამურჩნეო ცხოველებზე აღმოსავლეთ საქართველოში შემჩნეულია აპრილის თვეში. მაძღარი დედლები ცხოველიდან დაცვინის შემდეგ კვერცხისდებას იწყებენ; მათი კვერცხების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვალრე ბოოფილუსის და რიპიცეფალუსისა იყო და 10000 და მეტსაც აღწევს.

კვერცხებიდან დაახლოვებით ერთი თვის შემდეგ გამოდიან ლარვები რომლებიც ფრინველებზე იწყებენ პარაზიტობას და აქცე კანს ნიმფებად იცვლიან. მაძღარი ნიმფების ნაწილი ფრანველიდან დაცვინის შემდეგ კანს შემოღომაზევე იცვლის. საძოვარზე იზამთრებენ მაძღარი ნიმფები, რომლებმაც კანის ცელა ვერ მოასწრეს, და მშიერი მოზრდილი ტკიპები, რომლებიც აღრე გაზაფხულზე (მარტის თვეში) უკვე იწყებენ ცხოველებზე პარაზიტობას.

ჰიალომა მარგინატუმი ცხოველს საზოგადოდ შუალი-სას, დილას და სალამოს საათებში ეკიდება. ეს ტკიპი ნაკლებად აქტიურია. ჰიალომას მოკიდების აღგილებია ბალნისაგან თავისუფალი აღგილები (სასქესო ორგანოები, ცური და სხვ.).

ჰიალომა მარგინატუმი საძოვრის ტკიპებს შორის ყველაზე მსხვილია, თუმცა ეს სახეობა საქონელზე არ პარაზიტობს ისე დიდი რაოდენობით, როგორც ბოოფილუსი, მაგრამ ცალკეულ დედალ ტკიპებს შეუძლიანთ დიდი რაოდენობით მოწვონ სისხლი. ჰიალომას მსხვილი პირის ორგანოები (გრძელი ხორთუმი) ახასიათებს და შეუძლია სხვებზე მეტად დააზიანოს კანი და მოკიდების აღგილზე კანის ფლეგმონზური ანთება გამოიწვიოს.

ჰიალომა მარგინატუმი სახითათვი პარაზიტია და ცხენების ჰემოსპორიდიოზის გადამტანიც. შესაძლოა, რომ იგი არის სხვა დაავადებათა გადამტანიც. ამიტომ ეს ტკიპი მეცხოველეობის დიდ მავნებლად უნდა ჩაითვალოს.

### ჰიალომა ანატოლიკუმ

ჰიალომა ანატილიკუმი მსხვილრქისან საქონლის თეალერიოზის მთავარი გაღამტანია. მისი გავრცელება საქართველო-

ში შეზღუდულია და შემდეგ ხუთ რაიონში გვხვდება: თბილი-  
სის, მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის და ბოლნისის.

ჰიალომა ანატოლიუმი სამმასპინძლიან ტკიბს ეკუთვნის-  
ყველა სტადია პარაზიტობენ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო-  
ცხოველებზე, რომელთაგანაც ყველა სტადიისათვის მთავარია  
მსხვილი რქოსანი საქონელი. გარეულ ცხოველებს ამ ტკიბე-  
ბის გამოკვებაში პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ, რად-  
გან მათზე ჰიალომა მარგინატუმი შემთხვევით თუ გვხვდება.

ამ ტკიბის ბიოლოგიას მთელი რიგი თავისებურებანი აქვს.  
იგი ცხოვრობს როგორც საძოვრებზე, ასევე ცხოველის სად-  
გომ ბინებში. უსუფთაო ბინებში ტკიბებს უკეთესი პირობები  
აქვთ განვითარებისათვის, ვიდრე საძოვრებზე და ისინი ლიდ-  
ბალი რაოდენობით ვითარდებან. დაახლოებითაც კი არ შეი-  
ძლება მათი აღრიცხვა; ისინი სწერან ყოველ ნაპრალში, ნაკუ-  
ლის ქვეშ, ფიცრებს შორის, ჭერში, იატაშში. ქალაქის ადგი-  
ლებში ამ ტკიბის განვითარება განსაკუთრებით საძროხებაში  
ხდება.

სხვა იქ्सოდიდეს წარმომადგენელ ტკიბებთან განსხვავე-  
ბით, ჰიალომა ანატოლიუმი ზამთარში არა მარტო კარგავს აქ-  
ტივობას, რომელიც სიცივეებთანაა დაკავშირებული, არამედ  
განსაკუთრებულ მდგომარეობაში (დიაპაუზა) ვარდება, რომე-  
ლიც ტკიბის თბილ აღგილას გადატანისას მაინც არ გაიღლის  
და გარკვეულ სეზონში, გაზაფხულზე ტკიბები იღვიძებენ და  
ცხოველებს ესხმიან. ბუნებრივ პირობებში ეს გალვიძება უფ-  
რო გვიან ხდება, ვიდრე საძოვრის სხვა ტკიბების შემთხვევი-  
ში. ასე, პირველი აქტიური ტკიბები პპრილში და მაისში ჩნდებ-  
იან მეტწილად კი იგნისში. ამიტომ თეილერიოზი — დაავადება  
გაღაცემული ზრდასრული ჰიალომა ანატოლიუმით — შემჩნეუ-  
ლია ზაფხულობით და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებ-  
ში ზამთარში, ან იღრე გაზაფხულზე. განვითარების ასეთ მტკი-  
ცე დამოკიდებულების შედეგად, სეზონისაგან ვღებულობთ  
ცალკეული სტადიების განვითარების ვადების ხანგრძლიობას  
და საერთოდ განვითარების ხანგრძლივობის სხვადასხვაობას.  
წლის სხვადასხვა დროში. ივლისში და აგვისტოში ლარვილან.

ზრდასრულ ფორმამდე საჭიროა 42-48 დღე, სექტემბერში 60 დღე და უფრო გვიან კი რამდენიმე თვე. სეზონის გაჩდა ჰიალომა ანატოლიუმისათვის ისევე, როგორც სხვა ტკიპებისათვის, მინიშვნელობა აქვს პარის ტემპერატურას. ტკიპები უფრო აქტიურები არიან  $+20\text{--}30^{\circ}$ .  $40^{\circ}\text{-ზე}$  ზევით ტემპერატურა უკვე ცუდად მოქმედებს ტკიპების განვითარებაზე, განსაკუთრებით კვერცხებზე.  $+10^{\circ}$  ტემპერატურის დროს და ქვევითაც ტკიპები უმოძრაონი ხდებიან.

თუმცა ჰიალომა ანატოლიუმი არაა ფართოდ გავრცელებული სახეობა და მისი პარაზიტობის სეზონი უფრო ხანმოკლეა, მიუხედავად ამისა მისი მინიშვნელობა ძალიან დიდია და მის მიერ გადაცემული ავადმყოფობა — მსხვილრქოსან საქონლის თეილერიოზიც მძიმე ავადმყოფობაა. ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ჭერ კიდევ არ არის ნაპოვნი ეფექტიური სამკურნალო საშუალება და დაავადებული ცხოველი იღუპება. განსაკუთრებით მძიმედ ავადმყოფობენ იმ რესპუბლიკებიდან ჩამოყანილი საქონელი, სადაც თეილერიოზი არაა. თეილერიოზთან მტანების მოსპობა.

მრამლის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა თვით ტკიპ-გადა-

### ჰიალომა დეტრიტუმ

თეილერიოზის მეორე გადამტანი — ჰიალომა დეტრიტუმ — კიდევ უფრო იშვიათია ჩვენში და ნაპოვნია მხოლოდ ბოლნისის რაიონში.

ჰიალომა დეტრიტუმ ორმასპინძლიანი ტკიპია. ყველა სტალის მასპინძლები არიან სასოფლო-სამეურნეო ცხოველები, რომელთაგანაც მთავარია მსხვილრქოსანი საქონელი. გარეულ ცხოველებზე არ პარაზიტობს.

ზრდასრული ტკიპები, რომელნიც თეილერიოზის გამომჭვევის გადამტანები არიან, პარაზიტობენ ზაფხულის პერიოდში—ივნისი, ივლისი და აგვისტოს თვეებში. მაძლარი დედლები სცილდებიან ცხოველს საძოვრებზე, აქვე ხდება კვერცხის დება და ლარვების გამოჩეკვა. შემოღვიმდე ლარვები

უმოქმედოდ არიან, ხშირ ბალახში, მღრღნელების და ხვლიკების სოროებში იმაღლებიან. შემოდგომაზე — ოქტომბერში და ნოემბერში, ლარვები გამოდიან, ბალახებზე აღარ, საიდანაც ცხოველებს ესხმან. ცხოველზე მოკიდებისას სისხლს სწოვენ და 12-15 დღის შემდეგ ნიმფებად იქცევიან. ტკიბების შემდგომი განვითარება ჟყვდება, ნიმფები დიაპუზაში ცხოველზე ყოფნის დროსვე გადადიან. ნოემბრიდან მარტამდე, მსხვილრქოსან საქონელზე და იშვიათად სხვა სასოფლო-სამურნეო ცხოველების ცხოველებზე, არიან მხოლოდ მშიერი ნიმფები. მხოლოდ გაზაფხულზე, ძროხების საძოვარზე გამოსვლისას, მზისაგან გამობარი ტკიბები სრულ მოძრაობას აღწევენ და ცხოველს კანისცვლისათვის სტოვებენ. ნიმფებიდან ზრდასრული ტკიბების გამოსვლა საძოვარზე ხდება.

ჰიალომა დეტრიტუმს საქართველოს მეცხოველეობისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მიუჩედავად იმისა, რომ ნაკლებადაა გაფრცელებული. ბრძოლა შასთან, მის ბიოლოგიურ თავისებურებებთან გათვალისწინებით უნდა წარმატოს. (ახალგაზრდა სტადიების ზამთრის პარაზიტები).

## ჰიალომა სკუპენი

•თუმცა ჰიალომა სკუპენზე საქართველოს პირობებში არაა დაღვენილი, როგორც სასოფლო-სამურნეო ცხოველთა პემოსპორადიიზების გადამტანი, მაგრამ სხვა ადგილებში მას ასეთი მნიშვნელობა ჰქონია. შესაძლოა, რომ ამ ტკიბის შემდგომი შესწავლა გვიჩვენებს, თუ როგორი პემოსპორადიოზის გადამტანია ჩეცნს პირობებში და არის თუ არა ნამდვილად გადამტანი. ამ ტკიბის ფართოდ გაფრცელება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ყურადღებას იქცევს, როგორც მასობრივი პარაზიტი საქონელზე ზამთრის პერიოდში.

ამ ტკიბის განვითარება ერთმასპინძლიანი ტიპის მიხედვით ხდება, როგორც ბოოფილუს კალკრატუსისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბოოფილუსი ძოვების პირობებში პარაზიტობს, ჰიალომა სკუპენზე კი ბაგურ პირობებში. ლარვები ცხოველებს შემოდგომაზე ოქტომბერში, ნოემბერში ესხმიან.

ზამთრის განმავლობაში ხდება მათი ნიმფებად გადასვლა და წიმურებსა ზრდასრულ ტკიპებად.

ზრდასრული ტკიპები, ძალიან ღიღხანს — დეკემბრიდან მარტამდე, სრულ მაძღრობას არ აღწევენ და სისხლს ცოტ-ცოტათი წოვენ. გაზაფხულზე — მარტში, იწყება გაძლიერებული კვება და აპრილში დედლები სხეულში სისხლის ღიღდი მარაგით კვერცხის დასადებად ცხოველს სცილდებიან. ტკიპების ზამთარში ღიღდი რაოდენობით პარაზიტობა საქონლის და-ჭანდაგებას იწვევს, რასაც ხშირად მათი დაღუპვა მოსდევს.

### დერმაცენტორის გვარის ტკიპები

დერმაცენტორის გვარის ტკიპებიდან საქართველოში ორი სახეობა გვხდება: დერმაცენტორ მარგინატუსი და დერმაცენტორ პიქტუსი. ორივენი ცხენების ჰემოსპორიდიოზის გადამ-ტანები არიან, ხოლო დერმაცენტორ მარგინატუსს ამას გარდა შეუძლია ცხენების ენცეფალო — მიელიტის გადაცემა, რომე-ლიც ცენტრალური ნერვული სისტემის მოშლას იწვევს.

დაავადება გადაიტანება ზრდასრული ტკიპებით, რომელ-ნიც სასოფლო-სამეურნეო ცხოველებზე აღრე გაზაფხულზე პარაზიტობენ. ზაფხულში ტკიპების რაოდენობა ცხოველებზე მცირდება, შემოღვიმაზე ისევ იზრდება. დერმაცენტორი სა-ქართველოს პირობებში სასოფლო-სამეურნეო ცხოველებზე დაიდი რაოდენობით არ გვხდება და თითო ცხოველზე რამდე-ნიმე ათეულს აღწევს.

ახალგაზრდა სტადიები პარაზიტობენ გარეულ ცხოველე-ბზე, განსაკუთრებით მღრღნელებზე ზაფხულში.

დერმაცენტორები ფართოდ არიან გავრცელებული საქარ-თველოში. მათი მონახვა შეიძლება საზამთრო საძოვრებზე, მთის კალთებზე და მაღალ მთებშიც. მაგრამ მათ მიერ გადა-ტანილი დაავადება გარკვეულ ადგილებში გვხდება, მხოლოთ იქ, სადაც ზაფხული ცხელი იცის.

რაღაც ეს ტკიპები ღიდი რაოდენობით არ პარაზიტობენ, ამიტომ ხელით გაცლის მეოთდი სრულიად გამოსაყენებელია, ზოლო ცხენების დარიშხანგვანი ხსნარებით დამუშავების

დღის, არაა საჭირო მათი მთლიანად გაბანება, არამედ საქმა-  
რისია ტკიპიანი იდგილების ხსნარებით დასველება.

## ჩივიცევალუს ტურაციებს

გაზაფხულზე, ცხვრების ჰემოსპორიდიოზების გადამტანის — რაპიცეფალუს ბურზას გაჩენამდე, ცხვრებზე პარაზიტობენ სხვა ტიპები, რომლებიც მას ძლიერ გვანან — რაპიცეფალუს ტურანიკუს. ეს ტიპები დაღვენილი არ არიან, როგორც ცხვრების ჰემოსპორიდიოზების გადამტანები, ამიტომ ისე საშიში არ არიან, როგორც რაპიცეფალუს ბურზა.

რაპიცეფალუს ტურანიკუსს მნიშვნელობა აქვს, როგორც ცხენების ნუტალიოზის და პიროპლაზმოზის გადამტანის, ზოგიერთ ადგილას იგი საშიშარია, როგორც სპარსული შებრუნებული ტიფის და ენცეფალიტის გადამტანი.

რაპიცეფალუს ტურანიკუსის განვითარება სამშასპინძლიანი ტიპის მიხედვით მიღის. ლარვები და ნიმფები პარაზიტობენ გარეულ ცხოველებზე, ზრდასრულები სასოფლო-სამეურნეო ცხოველებზე.

## ჩივიცევალუს საცირინოს

რაპიცეფალუს სანგუინეუს — ძალების პიროპლაზმოზის გადამტანია და ძალიან მნიშვნელოვანი პარაზიტია თუკი დიდი რაოდენობით პარაზიტობს ძალებზე, ხშირად მათ დაღუპვას იწვევს.

მნიშვნელობა აქვს აგრეთვე, როგორც აღამიანის რამდენიმე დაავადების გადამტანს, ერთი მათგანი მარსელის ციებცხელებაა და ნაპოვნია შავი ზღვის სანაპიროებზე. შესაძლოა, რომ ეს დაავადება უფრო ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ მალარიის დიაგნოზითაა ცნობილი.

თავისი ცხოველმოქმედებით ეს ტკიპი მკვეთრად განსხვავდება დანარჩენ სამოვრის ტკიპებისაგან. იგი ცხოვრობს ძალების სადგომებში, აღამიანის ბინებში, დიდი რაოდენობით გეხვდება ზოოპარკში ცხოველების სადგომებში, პარაზიტობს

ადამიანზედაც. ერთ-ერთ ძალლთსაშენის მომსახურე პერსონალის სადგომებში ტკიპები დიდი რაოდენობით იყვნენ აღმოჩენილი.

რიპიცეფალუს საწყისი საშიშარი პარაზიტია, მასთან ბრძოლა ძნელია. უნდა იყოს გამოყენებული იგივე საშუალებები, რომლებიც ბალლინჯორების წინააღმდეგაა ხმარებული, სახელმძღვანელობრივი ხერელების ამოლესვა, ფარსუნკით ამოჭვა, ხის გალიების შექცურვა აღულებული მარილიანი ხსნარით. გაშრიაბის შემდეგ მარილი თხელ ფენად ილექტება და ამ ადგილებზე ტკიპები აღარ იბულებენ. ახალი საშუალებებიდან იხ-მარება დღტ და სხვ.

### ტკიპებითან ბრძოლა

სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ჰემოსპორიდითოზებთან ყველაზე სწორი საბრძოლო საშუალებაა ტკიპ-გადამტანების მოსპობა, რაღაც ტკიპების გარეშე არც დაავალებას ექნება ადგილი.

ყველა სადღეისოდ ცნობილი მეთოდები და საბრძოლო საშუალებები შეიძლება სამ ჭგუფად გაიყოს:

ა) სასოფლო-სამეურნეო ცხოველების დაცვა-გადამტანების თავდასხმისაგან.

ბ) ტკიპების მოსპობა ცხოველზე.

გ) ტკიპების მოსპობა საქონლის სადგომებში და საძოვ-რეზე.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ტკიპებისაგან დაცვის მიზნით გამოყენებულია: ცხოველების ბაგური მოვლა-პატრონობა, ძოვება ტკიპებისაგან თავისუფალ საძოვრებზე და საქონლის მთის საძოვრებზე გადაყვანა.

ბაგური მოვლა-პატრონობა. როგორც თავდაცვის საშუალება დაავადებებისაგან, ნაგულისხმევია განსაკუთრებით ჩამოყვანილ საქონელისათვის, რომელიც ძვირფასია თავისი მაღალი პროდუქტიულობით და ძლიერ მგრძნობიარე არის ჰემოსპორიდითოზულ დაავადებათა მიმართ. ამასთანავე ბაგური, მოვლა-პატრონობის ღრმოს გათვალისწინებულ უნდა იქნას.

შესხვილრქოსან საქონლის თეილერიოზით დაავადება, რადგან თეილერიიზის გადამტანი ტკიპები გარდა საძოვრისა, აგრე-თვე საღომებში ცხოვრობენ.

ძოვება ტკიპებისაგან თავისუფალ საძოვრებზე შესაძლე-ბელია მაშინ, როდესაც ასეთები არსებობენ. თუ მეურნეობა-ში ზღვება ხელოვნური ბალახთესვა ან ტარდება სწვა ღონის-ძიება, მაშინ იარსებებს ტკიპებისაგან თავისუფალი საძოვ-რებიც, რომლებზედაც შესაძლებელი გახდება უშიშრად საქო-ნლის ძოვება.

შალალმთან საძოვრების გამოყენება. ეს მეთოდი საჭარ-თველის პირობებში ძირითადია ჰემოსპორიიდიოზებისაგან თავის დასაცავად მეცვარეობაში და ნაწილობრივ მსხვილ-რქოსან მესაჭონლეობაში.

ამ დროს საჭიროა შემდეგი პირობების დაცვა: გაზაფხუ-ლზე ცხოველების დროული გაღმოყვანა საზამთრო საძოვ-რებიდან საზაფხულო საძოვრებზე, გარდამავალი საძოვრე-ბის მაქსიმალური გამოყენება; მსხვილრქოსან საქონელისათ-ვის მნიშვნელობა აქვს იგრძოვე შემოღვმაზე დროულ გაღ-მოყვანას და საჭიროა, რომ ნახირის შემაღვენლობა მუდმივ რჩებოდეს ე. ი. მომზაბარე ცხოველებიდან შემთხვევით არც ერთი არ დარჩეს ზამთრის საძოვრებზე.

ცხვრების გადარევების ვადები საზამთრო საძოვრებიდან, იმას მიხედვით დგება, თუ რამდენად მზადა საზაფხულო საძოვრები ძოვებისათვის და ზამთრის საძოვრებზე ამინდის მდგრმარეობის მიხედვით. თბილი ამინდების დაწყებისას ზა-მთრის საძოვრებზე იღვიძებს ცხვრების ჰემოსპორიიდიოზე-ბის ტკიპი — გადამტანი რიპიცეფალუს ბურზა და ჩნდება ცხვრების ჰემოსპორიიდიოზით დაავადების საშიშროება. თუ ამ დროს საზაფხულო საძოვრებზე გადაყვანა ჯერ კიდევ შე-უძლებელია, მაშინ საჭიროა ცხვრების გარდამავალ საძოვ-რებზე გარეკვა.

დადგენილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს გარდამა-ვალ საძოვრებზე, ტკიპი რიპიცეფალუს ბურზა შედარებით გვიან ჩნდება ვიზრე საზომის საძოვრებზე, სახელდობრ დვნისის მეორე დეკადაში, საზამთრო საძოვრებზე კი — ა-

როლის ბოლოს და მაისის დასაწყისში. სამწუხაროდ აღმო-  
სავლეთ საქართველოს ყველა რაიონში არა ასეთი საძოვრე-  
ბი, ამიტომ საჭიროა ჰემოსპირიდოზებისაგან დაცვის სხვა  
საშუალებების გამოხება. თუ ცხვარი რაიმე მიზეზით საზამ-  
თრო საძოვარზე დაყოვნდა და მას იქ ტკიბაღამტანების გა-  
მოღვიძებში მოუსწრო, საჭიროა სასწრაფოდ მიღებული იქ-  
ნას ტკპების საწინააღმდეგო ზომები. აღნიშნული გამოიხა-  
ტება ცხოველების ქიმიოპრეპარატებით დამუშავებაში, რომ-  
ლებიც საზოგადოდ ჰემოსპორიდიზების სამკურნალოდ გა-  
მოიყენება.

მსხვილი რქოსანი საქონელის საზაფხულო საძოვრებზე  
გარეკვისას ვადების დაღენა არა დამოკიდებული ბოოფი-  
ლუს კალკარატუსის პირველი ტალღის გაჩენაზე, რომელიც  
აღრე ვაზაფხულზე ხდება. ეს პირველი ტალღა არ წარმოაღ-  
გებს საშიშროებას. მსხვილრქოსან საქონლისათვის ვაცილე-  
ბით საშიშა მეორე ტალღა, რომელიც მაისს-ივნისშია შემჩ-  
ნეული; ამ დროს იგი საქონლის ჰემოსპორიდიოზებს იწვევს.  
ეს შეიძლება აიხსნას ტკიბის სხეულში დავალების გამომწ-  
ვევის გაძლიერებულ განვითარების გამო პაროს ტემპერა-  
ტურის აწევასთან დაკავშირებით. ამიტომ, მომთაბარე საქო-  
ნელის გადარეკვის ვადები საზაფხულო საძოვრებზე, შერჩე-  
ული უნდა იყოს რაიონებისა და მეურნეობების თავისებუ-  
რებებთან გათვალისწინებით. აღვილობრივი შესაქინლეობის  
მუშაკების დაკვირვებებზე დაყრდნობით. საქონლის საზამთ-  
რო საძოვრებზე დაბრუნებაც შეფარდებული უნდა იყოს ად-  
გილობრივ პირობებთან. საქონელი უნდა დაბრუნდეს ბარში  
საძოვრებზე ბოოფილუს კალკარატუსის რაოდენობის შემცი-  
რების შემდეგ. მსხვილრქოსან საქონლისათვის მთავარ საში-  
შროებას გარდავალი საძოვრები წარმოადგენს, რადგან  
ზამთრის საძოვრების ტერიტორიაზე ბოოფილუს კალკარა-  
ტუსი იშვიათი მობინადრეა.

ნახირის მუღმიერების შენარჩუნებას ის მნიშვნელობა  
აქვს რომ ცხოველები, რომლებიც ყოველ ზაფხულს ზამთრის  
საძოვრებზე ჩატარებან. აღარ აგადტებიან ჰემოსპორიდიოზებით.  
ის ცხოველები კი, რომლებიც სან მთაში აღიან და სან კა

ბარში რჩებიან ამის უნარს ჰკარგავენ და ხშირად მძიმე ფორმით ავალდებიან. ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ მომთაბარე ცხოველები ყოველ ზაფხულს მთაში იყვნენ გადაყვანილები. ტკიპების მოსპობა ცხოველებზე ხელით და სხვა საშუალებებით ხდება.

ტკიპების ხელით აცლის შეთოდი ყოველთვის არ შეიძლება გამოყენებული იყოს მეტისმეტი შრომატევადიანობის და ნაკლებ ეფექტიანობის გამო. ტკიპების ლარვები იმდენად ჰატარები არიან, რომ ცხოველის ბალანში მათი მოძებნა ძლიერ ძნელია და ისინი მაინც რჩებიან და ასწრებენ ჰემოსპორიდიზით მის დაავადებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგ შემთხვევებში, განსაკუთრებით მაშინ თუკი იგი მუყაითად იქნება ჩატარებული, მას მაინც სარგებლობა მოაქვს.

საბჭოთა არმიის ნაწილებში განსაკუთრებულად რეკომენდებულია ცხენებიდან ტკიპების ხელით გაცლა მათი წმენდის დროს. დადასტურებულია ამ მეთოდის სრული ეფექტიანობა ცხენების ჰემოსპორიდიზებთან ბრძოლაში. ერთ სამხედრო ნაწილში დადგენილი იყო, რომ ცხენების იმ გვუფში, საღაც ტკიპების სისტემატური აცლა ტარდებოდა ცხენების 8,7 % დაავადდა, ხოლო მეორეში, რომელშიც ტკიპების აცლა არ ხდებოდა ცხენების 42% დაავადდა. ტკიპების მოსპობა, განსაკუთრებით მაძარი დედლებისა, ძლიერ სცემს ტკიპების რაოდენობას შემდგომ თაობაში.

თუ ამ მეთოდს გამოვიყენებთ ტკიპი ბოოფილუსის წინააღმდეგ, მაშინ ცხოველიდან ტკიპების აცლა ადრე გაზაფხულზე უნდა დაიწყოს, სანამ ისინი შევრი რაოდენობით გაჩნდებოდენ. ეს არა მარტო გაადგილებს მუშაობას, არამედ, რაც მთავარია ხელს შეუშლის შემდგომი თაობის გამრავლებას და შემდგომი თაობას უკვე აღარ იქნება ისეთი მრავალ-რიცხოვანი, როგორც საერთოდ.

ხელით აცლის მეთოდი ძალიან კარგია იმ ტკიპების საწინააღმდეგოდ, რომლებიც ზამთარში პარაზიტობენ.


იმ საშუალებებიდან, რომლებიც ტკიპებზე დამღუპველად მოქმედებენ უველაზე ცნობილია შემდეგი: დარიშხან-მუავა ნატრიუმის სნარები, რომლებითაც ცხოველთა გაპა-

ნება, შეპკურება ან შეზელვა ხდება, პირეტრუმი და სხვა მცენარეული შხამები, დეზინსექტალინი და ბოლო ხანებში შემოსული ახალი პრეპარატი დდტ.

დარიშხანოვანი აბაზანები. სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ბანება დარიშხანოვან-მეფავე ნატრიუმის სსნარებით ამ მიზნისათვის სპეციალურად აშენებულ აბაზანებში ხდება. აბაზანა მიწაში ამოთხრილს და აგურით ამოშენებულ ოთხკუთხოვან აუზს წარმოადგენს, რომლის კედლები და ბსკერი მოსპობა, განსაკუთრებით მაძარი დედლებისა, ძლიერ ბეტონითაა ამოლესილი. აბაზანაში ჩასასვლელი არის 45° დაქანებით. ცხოველების ჩასვლა ხსნარიან აბაზანაში ერთბაშად, ჩაცურებით ხდება. ცხოველი ჭერ თავით იძირება ხსნარში და მოწინააღმდეგე მხარეზე ისევ თანდათან ადის და აბაზანიდან გამოდის. აბაზანას უსათუოდ სახურავი უნდა ჰქონდეს. სახურავი კეთდება ან ორსაჭრიანი, ან ერთ მხარეს ლაქანება უკეთდება.

აბაზანაში შესვლის წინ ჭერ ოთხკუთხოვანი შემოლობილი ბაკი ტეთდება, აბაზანასთან უფრო ახლოს სამკუთხოვანი, რომელიც გადადის ვიწრო-სიგანით 1 მ და სიგრძით 5 მ მქონე გასავალში, რომელიც უშუალოდ აბაზანას უერთდება. ლაქანებული გამოსასვლელი აბაზანიდან დაცემენტებული მოედნით მთავრდება, სადაც, გაბანებული ცხოველებიდან ჩამონადენი ხსნარი იღვრება; ამ მოედანს აბაზანისაკენ მიმართული აქვს პატარა ლაქანება, სადაც ცხოველებიდან ჩამონადენი ხსნარი ბრუნდება. აბაზანის გვერდზე კეთდება ჭა, რომელიც აბაზანასთან მილებითაა დაკავშირებული. ჭა ტევადობით აბაზანაზე ორჯერ მეტი უნდა იყოს. აბაზანა და მასთან შეულები ნაგებები შემოლობილი უნდა იყოს მაგარი ღობით და ჭიშკრით იკეტებოდეს.

აბაზანის ზომები დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ჟული საქონელი მოიხმარს მას, რაც მეტი ცხოველები გაიფ-



ବାନ୍ଧ. 4. ଟ୍ରେନ୍‌ପାସଫିରମାଲାରେ ଉପରେ କରାଯାଇଥିବା ଏକ ପାରାଣାରୁ ଦୃଶ୍ୟମାଳା।

ლიან აბაზანაში, მით დიდი უნდა იყოს ის. მსხვილრქოსან  
საქონელისათვის აბაზანა შემდეგი განაზომებით კეთლება:

სიგანე ხსნარის ღონემდე	1,4 მ
პსკერის სიგანე	0,6 „
ხსნარის სიღრმე ღონემდე	1,85 „
სიმაღლე კედლების ხსნარის ღონედან	0,5 „
პსკერის სიგრძე	7 „
გასასვლელის სიგრძე	6 „
შემოსასვლელის სიგრძე (სიმაღლის დაქანება=45%)	1 „
რკინაბეტონის კედლების სისქე	0,2 „
აგურის კედლის სისქე	1 პირი იგური.

ასეთი განაზომების აბაზანა 23000 ლიტრ სითხეს იტევს.  
ხსნარის დამზადებისათვის იღებენ დარიშხანოვანმუადა ნატ-  
რიუმს სხვადასხვა რაოდენობით, რაც დამოკიდებულია მომქ-  
მედი ნივთიერების — დარიშხანოვან ანგიდრიდის შემცვე-  
ლობაზე და სიმაგრეზე. ხსნარის სიმაგრე შემოწმებული უნ-  
და იყოს საქონლის ბანაობის დღეს ვეტექიმის მიერ, რისთ-  
ვისაც არსებობს სპეციალური ინსტრუქცია. ხსნარი აბაზანა-  
ში ინახება რამდენიმე დღეს, მასი გამოყენება გამჭერები-  
თაც შეიძლება, სანამ გაჭუჭყიანდებოდეს, მაგრამ ყოველი  
ბანაობის წინ უნდა შემოწმდეს დარიშხანოვანი ანგიდრიდის  
შემაღებულობა.


დარიშხანოვანი აბაზანები მეორდებიან იმის მიხედვით  
თუ რა სიმაგრისა ხსნარი და რომელი ტკიბების წინააღმდე-  
გაა გაბანება.

ტკიბი ბოოფილუს კალკარატუსის წინააღმდეგ აბაზანები  
უნდა იყოს 0,16 % სიმაგრის და ბანაობა უნდა ხდებოდეს  
ყოველ ხუთ დღეში ერთჯერ. დარიშხანის ექონომიის, და სა-  
ქონლის უფრო იშვიათად ბანაობის მიზნით, საქართველოში  
და ჩრდილოეთ კავკასიაში დარიშხანვანი აბაზანების მოქ-  
მედება გამოცდილი იყო, 0,20% ხსნარში 9 დღის გამოშვე-  
ბით, რამაც კარგი შედეგები გამოიღო, მხოლოდ პირველი  
2-3 ბანაობა ჯერ უნდა ჩვეულებრივი სიმაგრის ხს-  
ნარდეს, რომ ცხოველის კანი დარიშხანს შეეჩიოს.

ცხვრების ბანაობისათვის, ზრდა-  
დასრულებულ რიპიცეფალუს ბურზას  
მოსასკობათ 0,18% / დარიშხანვან ან-  
გიდრიდს ხმარობენ და ბანვა ყოველ  
ექვს დღეში ერთხელ უნდა მოხდეს.

ცხენებს აბანებენ და აგვერებენ  
0,24% / დარიშხანვანი ანგიდრიდით  
ყოველ 4-5 დღეში ერთხელ, საერთოდ  
ცხენების დარიშხანვანი აბაზანები  
ტკიბების გაჩენის რამდენიმე დღით ად-  
რე იწყება იმისათვის, რომ ტკიბების  
გაჩენისათვის კანში უკვე დარიშხანა  
მოგროვდეს.

დარიშხანობანი შეპკურებები წარ-  
მოებს იმავე სიმაგრის ხსნარებით, რო-  
გორიც გაბანების შემახვევაში იხმარე-  
ბა და გადებიც იგივე რჩება. შეპკურე-  
ბის დროს ცხოველები სუკიალურად  
შემოღობილ ადგილებში-ბაკებში შეპ-  
ყავთ ისევე, როგორც აბაზანების შემთ-  
ხვევაში მოსაცდელი ბაკი კეთდება და  
ბაკი, სადაც ცხოველები შრებიან (ნახ. 5.)  
შესაპკური კამერა კეთდება გრძელი  
ტალანის სახით, პარალელური ღობეე-  
ბით, კედლები ფიცრებისაგან, ლატნე-  
ბისაგან კეთდება ისე, რომ მათ შორის  
მცირე მანძილი რჩებოდეს. მთელი ტა-  
ლანი ორ ნაწილად იყოფა, რომელსაც  
მოძრავი კარი უკეთდება. პირველი  
კამერა ერთი ცხოველისათვის კეთდება,  
მეორე კი 2-3 ცხოველისათვის. მი-  
წაზე სდებენ ფიცრებს, რომელთა შო-  
რის ხვრელებს სტოვებენ; ფიცრების  
ქვეშ ითხრება ორმოები, რომელშიც  
ჩაწურული ხსნარი იღვრება.



ნახ. 5. ტკიბსაჭირნალშ-  
დებო ზის აბაზანა.

შესაპყური აპარატი კამერის გარეთ იდგმება. შესაპყურად სხვადასხვა სისტემის აპარატებს იყენებენ: „პომონას“ „ტრემას“, „ეკონომ“, „კლიმაკს“, ჩვეულებრივი ჰიდროპულტი და სხვ. აპარატები, რომლებიც მცენარეების მავნებლებთან ბრძოლაში გამოიყენება. ხსნარის რაოდენობა ერთი ცხოველის შესაპყურებლად საჭმარისია 4-5 ლიტრი.



ნაზ. 6. ცხოველების შესაპყურება.

ცხენების შესაპყურებლად სპეციალურ აღგილს გამოყოფენ, სადაც საპყური დაიდგმება; 4 მ სიმაღლეზე დგამენ 3 ქვაბს დარიშხანოვანი ხსნარისათვის, მათგან გაყვანილია რეზინის წელათი საპყურებით; მიწაზე ეწყობა ფიცრები და ცხენების დასაბმელებით.

დარიშხანოვან დაზელვას იმ შემთხვევაში აწარმოებენ, როდესაც მეტრონომას აბაზნა არა აქვს და არც შეპყურების ორგანიზაციაა შესაძლებელი. დაზელვას აწარმოებენ იქ, სადაც ჩვეულებრივად ცხენებს აბაზნ. დარიშხანოვან მეავე ნატრიუმში ჩვარს ან ჭაგრისს ასველებენ და შემდეგ გულდასმით ცხოველის სხეულს წმენდენ.

დაზელვას უნდა მეტი დრო, ვიდრე ბანაობას ან შეპყურვას. ხსნარის რაოდენობა საჭიროა 4-5 ლიტრი თითო ცხოველზე.

ცხოველების დარიშხანოვანი დამუშავება ძლიერი იარაღია ტკიბ-გაღამტანებთან ბრძოლაში. თავის ეფექტიანობით

Յորշալ աղցիլնից դահութեանոցանո ածածանեծո, Մյմդյց ճա-  
հութեանոցանո Մյեկյուրցըծո ճա ճողոս ճահութեանոցանո ճանի-  
լցըծո. ամ պյանասկենցըծո մյտողոս գամոպյեցըծո ճրոս մանց  
առ եցեա ւեռցըլոս սեյցլոս մուլո Նյեժածորոս ճասցըլը-  
ծա. ճողոցոլոս յալցարաթյուստան ճրոմոլոս ճրոս, սափորոս  
ժահութեանոտ ճասցըլըծուլո ոյոս ւեռցըլոս մուլո սեյցլո  
ճա տացուց, հաջան յը լրյուցէծո պուցըլ աղցիլս ըյուցէծօն.  
լրյուցէծո ճամութացըծո Մյեմուեցըցամո Մյեմուեցէծ ճասցոլոս ան  
Նյեկյուրցը մեռոլուց ոյ աղցոլոցէծո, հոմելուց հիյուլոս  
Ծյուցէծօնացուս.

Ճահութեանոցանո եսնահութոս մոյմյեցէծոս Եյյէյտիանօնօ  
ճամուցուցէծուլո միանի, ոյ տացուդան հոցոր ոյոս մոկմահոյ-  
ծուլո. մոհուտաճո ամուցան միանի մըցոմահունօծո, հոմ քանչո  
ճացրուցոլո ոյոս ճահութեանո լրյուցէծոս մոյմյեցէծմոց; միո-  
լրոմ, ւեռցըլըծոս ճամութացըծո սյնդա ճասցուլոս մատնի լրյուց-  
ծոս մասոնիոց ցահոնամոց. սայոնեցնից ծոռոցոլոս յալցարա-  
թյուսոս մուսամանօնաճ յը լունուժոցէծո սյնդա հիաթարցը ապրունչո,  
տցուլերունչոս ցալամունիսացուս — մասնի ճա օվլոսոս ճասա-  
Ծյուսնի.

Սայահուցուցունո ճահութեանոցանո ճամութացըծո եցեթա ճա-  
նցըլոս սանօտ, հիաթուցանուլո ւեռցըլըծոս Ֆյեմուսկորուցու-  
նուցէծօնան տացլաւզոս միոնոտ. մեսեցուրյուսան սայոնուս ծա-  
նցէծ ճռցէս աղար եցեթա ածածանեծոս սյոնունօնօծոս ցամո. ճանի-  
լցուսացուս եսնահութոս միանգուցէծ սայ. ցերմոմահուցըծոս մոյր  
մացարո (կոնցրենտրուրյուլո) եսնահութոս սանօտ, հոմյունուց  
Ծյունչո ուսնեցէ յուրիցունչ նահուցնեծ սօմացրուց. յը մալուն  
մարտիւցէս սամութառ, հաջան սյուց սափորո աղար արան  
եսնահութոս աղցունից Մյեմություն. մացարո եսնահութոս ծոռոցուն-  
չուլո Մյենչուրյուս, հաջան ճահութեանոցանո նաբիրումո ցոյցի-  
նի օմորցէս.

Կըցրէծոս ճահութեանոցանո ածածանեծօնացուս Մյեմուեցէծ  
ցամոպյենցուլ ոյնաս ոյ ածածանեծո, հոմյունուց մըցիս սաֆո-  
նաալմոցը նանցէծօնացուս ոյոս ցատցալոս վունցէծուլո.

Ճահութեանոցանո ածածանեծո սահոցագուճ սյնդա հիաթարցը  
սեցա լունուժոցէծօնացուս յուրագուճ ճա մանի մուս Եյյէյտիունօն

იზრდება. ჩვენში, ყველაზე მეტად დარიშხანოვანი აბაზანები გავრცელებას პოულობენ ჩრდილოეთ კავკასიაში, საღაც ისინი ბოოფილუს კალკარატუსის წინააღმდეგ ერთ-ერთ მთავარ საბრძოლო საშუალებას წარმოადგენენ. სტავროპოლის ოქეში მიღებულმა ღონისძიებებმა მსხვილრქონანი საქონელის ჰემოსპორიდიონზები საგრძნობლად შეამცირეს; ზოგიერთ რაიონებში ოთხი წლის სისტემატურად ჩატარებულმა აბაზანებმა სრულიად მოსპეს ჰემოსპორიდიონზები და ბორფილუს კალკრატუსი საქონელზე აღარ ჩნდება.

დარიშხანოვანი აბაზანები განსაკუთრებით კარგ შედეგებს იძლევა ბოოფილუს კალკარატუსთან ბრძოლაში, რადგან ეს ტკიბები ცხოველებს ეყიდებიან ლარვის სტადიაში, რომელიც დარიშხანოვან სნარებისაგან სწრაფად იღუპება. რაც შეეხება სხვა ტკიბებს, მათ მიმართ ყოველთვის არ მიიღება დამაქმაყოფილებელი შედეგები. ცხოველების ბანვარიპიცეფალუს ბურჩას წინააღმდეგ უნდა ხდებოდეს შემოღომით, როდესაც ლარვების პარაზიტობის სეზონია. გაზაფხულზე, როდესაც ზრდასრული ტკიბებია, საჭიროა ძალიან მაგარი სნარის ხმარება 0,18%, ცხენებისათვის კიდევ უჯრო მაგარი 0,24% დარიშხანოვანი ანტიღრიდი, ჩრდილოეთ კავკასიის მუშავების გამოცდილებამ გვიჩვენა რომ ბოოფილუსის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება არა საკმარისი სხვა ტკიბების მოსასპობად.

გართულებები დარიშხანოვანი სნარების ხმარების შედეგად.

დარიშხანოვანი ნატრიუმი ძლიერი საწამლავია, ამიტომ მისი პროფილაქტიკის მიზნით გამოყენება საჭიროა დაღენილი კონცენტრაციით და გარკვეული გადებით. გამოყენების წესების დარღვევა ხშირად გართულებებს და სიკვდილიანობასაც კი იწვევს. სასიკვდილო დოზად დარიშხანოვანი ანტიღრიდის 2 % სნარი ითვლება. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ნორმალური და დაბალი კონცენტრაციის სნარებსაც შეუძლიანთ გართულების გამოწვევა (0,10—0,12%). ხშირად ჩნდება კანის დაწვა განსაკუთრებით კისრის

და ზურგის მიღამოებში. ეს ხდება იმ შემთხვევებში როდე-  
საც ბანვა ზაფხულში ტარდება, როდესაც აბაზანიდან გამო-  
სული ცხოველი მზის სხივების მოქმედებაში ექცევა, კანი  
ჯერ არაა შეჩერებული დარიშხანს და მზისაგან იწვება.

ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა  
დამუშავების სხვა შეთოდებს მივმართოთ, სახელდობრ, პი-  
რველი ბანვა ჩატარდეს გაზაფხულზე, და თუ ეს არ მოხერხ-  
და, მაშინ ზაფხულის აბაზანები ჯერ დაბალი კონცენტრაციის  
უნდა იყოს და საქონელი მზეში არ უნდა გაიშვას.

იმ შემთხვევებში თუ ბანვა მაგარ კონცენტრაციის ხსნარ-  
ში მოხდა, ცხოველები სასწრაფოდ უნდა გაბანდნენ სუფთა  
წყალში.

ცხოველები, რომელთა კანი დაზიანებულია გაკაწრული  
ან დაწვარი წინა დამუშავების შედეგად, საბანაოდ არ და-  
შვებიან.

პირეტრუმის პრეპარატების გამოყენება. ტკიპების მო-  
სასპობად ცხოველებზე გამოიყენება პირეტრუმის პრეპარა-  
ტები. პირეტრუმი-არის გამხმარი და დაფხვნილი გვირილა-  
ჟვავილები. პირეტრუმის დასამზადებლად ხმარობენ გარეულ  
კავკასიურ გვირილას და ხელოვნურად ნათეს დალმათის გვი-  
რილას. მოქმედი საწყისები, ე. წ. პირეტრონები ძლიერ  
შხამებს წარმოადგენენ ზოგიერთ მწერებისათვის და ტკიპე-  
ბისათვის; სრულიად უვნებელნი არიან სასოფლო-სამეურნეო  
ცხოველებისათვის და აღამიანისათვის.

სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლაში პირეტ-  
რუმი მთელი რიგი მწერების და წვრილი ტკიპების წინააღმ-  
დეგაა ხმარებული. პირეტრუმის დამუშაველი მოქმედება  
ჰემისპორიდონზების გადამტან მრავალი სახეობის ტკიპების-  
წინააღმდეგ უკვე დადგენილია.

პირეტრუმის გამოყენების ყველაზე უკეთესი ფორმაა  
ნავთპირეტრინის ემულსია, რომელიც შემდეგნაირად მზად-  
დება: 1 ლიტრ საპნიან წყალში ( $\frac{1}{2}$  % საპონი) იხსნება 30-50  
გრ პირეტრუმის ფხვნილი და 20 კუბ სმ ნავთი. ნარევი  
კარგად უნდა შეინჯორეს და 12-16 საათით დატოვებულ იქ-  
ნას; ხმარების წინ ისევ უნდა შეინჯორეს. ამ ემულსით სველ-

დება ცხოველის სხეულის ზედაპირი. დამუშავება შეორდება ჭოველ 6 დღეში ერთჯერ.

პირეტრუმის დადებითი თვისებაა ის, რომ ის სრულიად უვნებელია სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის და ძლიერ ეფექტიანია ტკიბების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ზინის და ფრინველების ტკიბების წინააღმდეგ, რომელთათვისაც სხვა პრეპარატები ნაკლებად ეფექტურია.

მისი ნაკლია ის, რომ ძირიად ფასობს და შენახვისას თავის ტოქსიკურ თვისებებს კარგავს.

დეზინსექტალინის გამოყენება. დეზინსექტალინი უსუფთაო ნაუტრალინს წარმოადგენს, ეს არის მუქი ფერის, უსიამოვნო სუნის ფხვნილი.

დეზინსექტალინის ხმარება შეიძლება იმ დროს, როდესაც შეუძლებელია ხსნარების ხმარება, მაგალითად ზამთარში. დეზინსექტალინის ფხვნილით დამუშავებას უძღვის გარეშეული სინერეები, რომლებიც იმაში გამოიხატება, რომ ფხვნილი კარგად ეკიდება ცხოველის ბეჭებს, როდესაც ის ზევიდანაა წაყრილი, ქეჩოზე, ზურგზე, წყლზე, ნაწილობრივ გვერდებზე, ხოლო დამტვერვა შუცლისა უკვე შეუძლებელი ဖდება. ცხოველის დამუშავება ხდება ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ აღგილზე. დამუშავების წინ ცხოველი კარგად უნდა იყოს გაწმენდილი. დეზინსექტალინის წაყრა ხდება ჩითქის საშუალებით ან ხელით. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა დამუშავდეს დატკიბიანებული აღგილები.

დეზინსექტალინით არ შეიძლება დამუშავდეს ცხოველი მთლიანად; ერთ დღეს დამუშავდება ერთი ნახევარი, მეორე დღეს მეორე ნახევარი.

დეზინსექტალინით დამუშავება უნდა დროულად დაიწყოს ე. ი. სანამ ცხოველზე მოზამთრე ლარვები პარაზიტობენ: პიალომა სკუპენზე, პიალომა დეტრიტუმ, — ლაახლოვებით ოქტომბერ-ნოემბერში. მაძლარ დედალ ტკიბებზე ნაკლებად მოქმედებს დეზინსექტალინი.

დღეტ-ს პრეპარატების გამოყენება. დღეტ შემოკლებული შახელწოდებაა ქიმიური პრეპარატის (დიხლორდიფენილტ-

რიქლორეტან), რომელიც ძლიერ დამღუპველად მოქმედებს. მთელ რიგ მწერებზე და ტკიბებზე.

მზადდება არადეფიციტურ ნედლეულისაგან და ჯდება ძალიან იაფი. მისი დამღუპველი მოქმედება მწერებზე მუღვნება უკვე მინიმალურ დოზებში, მაგრამ მოქმედება მისი უფრო ნელია ვიდრე სხვა შესმების, მაგალითად პირეტრუმის.

დღტ-ს პრეპარატის მოქმედება ტკიპ-გადამტანებზე გაცილებით სუსტია, ვიდრე მწერებზე, ამიტომ ტკიპებთან ბრძოლის დროს უნდა გამოიყენონ პრეპარატი, რომელშიც სუფთა დღტ უფრო მეტი რაოდენობითაა.

იყიდება დღტ-ს შემცველი სხვადასხვა პრეპარატების სუფთა დღტ, გეზაროლი, დუოლიტი, ლაუზეტა და სხვ.

სუფთა დღტ გავს პარაფინს ან სანთელს, წყალში არ იხსნება. კარგად იხსნება ნავთში და ზოგ სხვა გამხსნელებში.

გეზაროლი მონაცრისიფრო ფხვნილია, მზადდება ტალკისა და სუფთა დღტ-ს შერევით, ამ უკანასკნელის რაოდენობა 5%-ია. დუოლიტი და ლაუზეტაც ტალკის და სუფთა დღტ-ს ნარევია ხოლო დღტ მასში უფრო დიდი რაოდენობითაა მოცემული.

ტკიპების მოსასპობად ცხოველებზე ფხვნილები (გეზაროლი და სხვები) შემტკიცით იხმარება, ანდა წყლის ემულსიის სახით. წყალში არც ტალკი და არც დღტ არ იხსნებიან, კეთდება ემულსია, რომლითაც უკეთესია ცხოველის დამუშავება, ვიდრე მშრალი ფხვნილით.

ფხვნილებიც და წყლის ემულსიებიც დღტ-ს სხვადა სხვა შემცველობით სრულიად უფნებელია ცხოველებისათვის. შეოღონდ დღტ-ს სსნარებმა მინერალურ ზეთებში ან ნავთში შესაძლებელია ტოქსიკური მოქმედება გამოიწვიონ, რადგან შეიწოვება კანის მიერ; ამიტომ ცხოველის მთელი სხეულის ერთბაშად დამუშავება არ იგრძება.

გეზაროლისა და სხვა ფხვნილების გამოყენება საძოვრის ტკიპების წინააღმდეგ შეიძლება მშრალიადაც და ემულსიის სახითაც, განსაკუთრებით ბოოფილუს კალკირატუსის და რიპიცეფალუს ბურზას წინააღმდეგ (ლარევების პარაზიტობის პერიოდში).

ტკიპები, რომლებიც საქონელზე ზრდასრულ ფორმით პარაზიტობენ, მაგალითად ჰიალომა ანატოლიკუმ, დერმაცენტორი და სხვები, ნაკლებად მგრძნობიარენი არიან ამ პრეპარატების მიმართ, ამიტომ საჭიროა დღტ-ს რაოდენობა იყოს არანაკლები 10%-სა.

ბოოფილუს კალკარატუს რიპიცეფალუს ბურზას ლარვების წინააღმდეგ დდტ-ს ხმარება საჭიროა ყოველი 10—14 დღის შემდეგ.

### ტკიპების მოსასპობი სხვა ახალი საშუალებები

დღტ-ს გარდა არის სხვა საშუალებებიც რომელთა შემშეობით შესაძლებელია ტკიპების საქონელზე მოსპობა. ზოგი მათგანი დღტ-ზე ძლიერაც კი მოქმედებენ მაგალითად გექსა-ხლორანი.

კარგ შედეგებს იძლევა „სკ—9“ —ის პრეპარატები. ეს უკნასკნელი წარმოადგენს ერთგვაროვან, წებოვან, მუქ სითხეს, რომელსაც სპეციფიური სუნი აქვს; წყალში ოდვილად იხსნება (თბილშიც, ცივშიც) და წარმოქმნის თეთრი ფერის ემულსიას.

ქიმიური შემაღენლობით „სკ—9“ წარმოადგენს მაღალ ქლორინებულ სკიპიდარს.

ვეტერინარულ პრაქტიკაში ეს პრეპერატი მხოლოდ ეხლა შემოღის. გამოცდას დროს კარგ შედეგებს იძლევა ბოოფილუსის დერმაცენტორისა და სხვათა მიმართ.

გამოიყენება დაზელვის, შეპკურვის ან აბაზანის სახით. დაზელვისათვის იხმარება. მაგარი კონცენტრაციის, სახელ-დობრ 3%, ბანაობისათვის 1%. ვადა ბანაობის შორის 15 დღე. ის ცხოველები, რომლებიც დამუშავდენ „სკ—9“, ემულსიით 15 დღის ვადებით, თავისუფლდებოდენ ტკიპებისაგან და ჰემოსპორიდიოზით არ დაავადებულან. „სკ—9“ —ს აქვს მოელი რიგი უპირატესობანი დარიშხანოვან პრეპარატების მიმართ. ჭერ ერთი საქონლისათვის სრულიად უგნებელია, მეორე — ვადები დამუშავებათა შორის უფრო გრძელია, ამი-

ტომ ნაკლები დრო სჭირია და ცხოველებიც ნაკლებად წუხ-  
ლებიან.

„სკ-9 „-ს და დღტ- ს პრეპარატები საჭიროა, რომ  
ტკიპ-გადამტანების წინააღმდეგ ფართოდ იქნას გამოყენე-  
ბულია.

ტკიპების საძოვრებზე მოსპობის მიზნით გამოიყენება  
შემდეგი ლონისძიებები:

საძოვრების ცვლა და იზოლაცია, ე. ი. საძოვრების დიდი  
ხნით ამოგდება ძოვებისაგან, სადაც ტკიპები შიმშილისაგან  
დაიხოცებიან. ეს ლონისძიება გამოიყენება ბოოფილუს კალ-  
კარატუსის წინააღმდეგ. შინაური ცხოველები არ უნდა იყვ-  
ნენ დაშვებული იზოლირებულ საძოვრებზე 7 თვის განმავ-  
ლობაში, რომლის დროსაც ლარვები ვერ პოულობენ შესაფე-  
რის მასპინძელს და შიმშილით იღუპებიან. სხვა ტკიპების წი-  
ნააღმდეგ ეს ლონისძიება ნაკლებ ეფექტიანია.

არსებობს საძოვრების ცვლის რამდენიმე სქემა, ზოგი  
მათგანი გამოიყენებული იყო ჩრდილოეთ კავკასიის პრაქტიკა-  
ში და დარიშხანოვან აბაზანებთან ერთად ძალიან კარგი შე-  
დეგი გამოიღეს ტკიპი ბოოფილუს კალკარატუსის წინააღმ-  
დებ.

საქართველოს მომთაბარე მეცხოველეობის პირობებში  
იზოლირებული საძოვრების ლონისძიების ხმარება არ ხერხ-  
ლება. ამავე დროს ჩვენში ხდება საძოვრების ბუნებრივი  
ცვლა დიდ ტერიტორიაზე. ტკიპები, რომლებიც ზამთრის  
საძოვრებზე ჩჩებიან საქონლის საზაფხულო საძოვრებზე წას-  
ვლის შემდეგ, იძულებული არიან იშიმშილონ.

ზამთრის საძოვრებზე არახელსაყრელი პირობები, ძლიერი  
სიცეის გამო, ლარვების დაღუპვას უფრო ადრე იწვევენ ვიდ-  
რე სხვა ადგილებში, ამიტომ ზამთრის საძოვრების ტკიპებისა-  
გან განთავისუფლება შესაძლებელი ხდება იმ პირობით, თუკა  
ზაფხულის განმავლობაში ზამთრის საძოვრებზე სრულებით  
არ დაიშვებიან შინაური ცხოველები, ხოლო მთიდან ჩამოსუ-  
ლი საქონლი საძოვარზე გაშვებამდე უნდა დამუშავდეს  
ტკიპის საწინააღმდევო საშუალებებით.

„ნათესების გამოიყენება საძოვრებად. ყველაზე უფრო

სწორი მეთოდია საძოვრების ტკიპებისაგან გასანთავისუფლებლად, ბუნებრივი საძოვრების შეცვლა ხელოვნური ნათე-სებით, რომელიც მეურნეობის სფეროთ თესლთა ბრუნვაში იქნება შეტანილი. ტკიპებთან ბრძოლის ეს მეთოდი ფართო გასაჭანს მიღებს, როდესაც მინდვრის ბალახების თესლთა ბრუნვა შემოლებული იქნება, რომელიც ამავე დროს საკვები ბაზის შექმნის ერთ-ერთი საშუალებაა. ნიაღაგის დამუშავება (გადახვნა) ბალაზის თესვის დროს, კვერცხისმდებელი დედა-ლი ტკიპების მოსპობას იწვევს, ხოლო ნაკვეთების დიდი ხნით ხმირებიდან ამოგდება ტკიპების შიმშილისაგან დაღუპვას.

საძოვრების გაუმჯობესება შეიძლება მიღწეულ იქნას დაჭაობიანებული აღგილების გამოშრობით, სასმელი წყლის გაყვანით, საძოვრის გაწმენდით ქვებისაგან და სხვ. ამ ღონისძიებათა ჩატარების შემდეგ საძოვარზე ნესტი, ჩრდილი და თავშესაფარები ტკიპებისათვის აღარ რჩება, ამიტომ დედლებისათვის კვერცხის სადები აღგილებიც ისპობა.

კარანტინული დონისძიებანი მეურნეობაში. მკაცრი, მეურნეობის შინა კარანტინი, ტკიპებისაგან გაწმენდილი ტერა-ტორიის დაცვაში მდგრამარეობს სხვა მეურნეობიდან შემოსული საქონლისაგან. ამ მიზნით მეურნეობის ტერიტორიაზე სპე-ციალური ნაკვეთი — კარანტინული ნაკვეთი გამოიყოფა. აქ რამდენიმე ხნის განმავლობაში გააჩერებენ საქონელს. რომელიც ტკიპებისაგან დარიშხსანოვანი დამუშავების, ხელით გაიწმინდება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საქონელი დაშვებულ იქნას ჭაძოვრებზე.

ტკიპების საქონლის სადგომებში მოსპობა ძირითადად ხერელების ამოლესვით და შემდგომი კირით გათეთრებით წა-რმოებს. გარდა ამისა შეიძლება მთელი შენობა დლტ-ს პრეპა-რატებით შეპკურდეს, და უნდა ტარდებოდეს წელიწადში ორ-ჯერ: გაზაფხულზე, როდესაც თეილერიოზის გადამტანი ტკი-პები იღვიძებენ და შემოდგომაზე სანამ ტკიპებმა საზამთროდ თავის შეფარება მოასწრეს.

ღონისძიებები უნდა ტარდებოდეს მეურნეობის პირობების მიხედვით და უსათუოდ ერთმანეთთან შეფარდებით. არც ერთი ღონისძიება ცალკე აღებული არ ჩათვლება საკმარისად. ყოველ ღონისძიების გამოყენებას ტკიბების შემცირება მოსდევს მეურნეობაში, მაგრამ საგრძნობი შედეგების მისაღწვევად საჭიროა რამდენიმე ღონისძიების ერთდროულად ხმარება.

მაგალითად თუ მეურნეობა მომთაბარეა, საჭიროა: ზუსტად იყოს დაცული საქონლის საზაფხულო საძოვრებზე გადაყვანის ვადები. თუ არსებობს ვარდამავალი საძოვრები უნდა გამოვიყენოთ: ჰემოსპორიდიოზების პროფილაქტიკის მიზნით ცხოველების სხვა რაონებში გავლისას, საჭიროა მათი დამზუშვება; მეურნეობაში არ უნდა იყოს დაშვებული სხვისი საქონლის ხოლო მთილან დაბრუუნებული საქონელი კარატინში უნდა გაჩერდეს სანამ ტკიბები არ მოცილდებიან.

თესლთა ბრუნვის გეგმის შედგენის დროს მეურნეობაში, საჭიროა გათვალისწინებული იქნას ტკიბებთან ბრძოლის ღონისძიებები, რომელიც მეურნეობის საერთო გეგმასთან იქნება დაკავშირებული. საძოვრების ცვლა შეიძლება განხორციელდეს კულტურული ნაოცების მოსავლის აღების შემდეგ, მაგრამ საჭიროა თითოეული ნაკვეთის სწორად გამოყენება და უკვე გასუფთავებულ ტერიტორიაზე არ მოხდეს ტკიბებით დასწრებოვნებულ საქონლის ძოვება.

ჰემოსპორიდიოზებთან სწორი საბრძოლო ღონისძიებათა ორგანიზაციისაგან დამოკიდებულია კარგი შედეგების მიღებაც. ყველაზე მარტივი ღონისძიება — ხელით ბცლა, თუ კი ის დროულად იქნება დაწყებული და კეთილსინდისიერად ჩატარებული, რაც კარგი შედეგის მომცემია. ასე მაგალითად, ბოოფილუს კალკარატუსისაგან ცხოველების გატჩიპვა, რომელიც ადრე გაზაფხულზე დაიწყება და მაისამდე გრძელდება, უკვე პირველ წელიწადს შესამჩრევ შედეგს გამოიღებს, შემოდგომისათვის ტკიბები ნაკლები იქნება, ზამთარშიც ბევრი დაიხოცება და შემდეგი წლის გაზაფხულზე ტკიბები სულ

ცოტა გაჩნდება. შაგრამ, თუ კი ტკიბების გაცლა ავტოსტოში ლაიჭყება, ასეთ შემთხვევაში ბევრი ტკიბი საძოვრებზე დარჩებიან და გარდა ამისა ამ ღროს ძლიერ ბევრი ლარვი ნიმფებია, რომელთა გაცლა ხელით თითქმის შეუძლებელია.

თუ მეურნეობაში ხდება ტკიბების ცხოველზე მოსპობა, მაგ. ხელით გაცლა, ხსნარებით დამუშავება და სხვ. საჭიროა ყურადღების მიქცევა, რომ მეურნეობაში არ იყვნენ შემოყვანილი დატკიბიანებული ცხოველები, წინააღმდეგ შემთხვევაში დახარჯული შრომა ამოდ ჩაივლის, ტკიბები ისევ გმრავლდებიან და ცხოველებს დაეხვევიან.

რადგან, სხვადასხვა სახეობის ტკიბებს თავისი ბიოლოგიური თავისებურებანი ახასიათებთ (ესხმიან ცხოველებს სხვადასხვა ღროს, ცხოვრობენ სხვადასხვა პირობებში), მაშინ ბრძოლის ცალკეულ შემთხვევაში ცნობილ ღონისძიებებიდან უნდა ამორჩეულ იქნას ისეთი, რომელიც უკეთესია მეურნეობისათვის საშიშ ტკიბებთან ბრძოლაში. მაგალითად, ზმთარში ცხოველების ძლიერი დატკიბანების ღროს გამოყენებული უნდა იყოს ბრძოლა მრავამთრე ტკიბებთან. ეს იქნება ცხოველების დამუშავება შემთხვევაში, ძოვების სეზონის დამთავრების შემდეგ.

თუ ტკიბები ბევრი არაა, შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელით გაცლა. თუ მეურნეობაში ძალიან გამრავლდა ბოოთილუს კალკრატუსი, ღონისძიებები უნდა დაიწყოს ადრე გაზაფხულიდან. თუ მეურნეობაში არსებობს თეილერიოზის საშიშროება, საჭიროა შენობების გასუფთავება და ერთდროულად ცხოველების დამუშავებაც.

სხვადასხვა საშუალებათა გამოყენების ღროს, არ უნდა მეუცეს დავიწყებას ის გარემოება, რომ გაცილებით ადვილია ლარვების მოსპობა, ვიდრე სხვა სტადიებისა. ამიტომ დამუშავების ვადები უნდა შეფარიდებულ იქნას ლარვების პარაზიტების სეზონთან. ტკიბების მთავარ მასპინძლების ცოდნისას, საჭიროა ამ ცხოველების დამუშავებაც. მაგალითად, ცხვრების ჰემოსპორიზიზების გადამტანი ტკიბის რიპიცეფალუს ბურზას კველა სტადია, ძირითადად ვარაზიტობს. მსხვილეულსან საქონელზე, ამიტომ ამ ტკიბთან ბრძოლას შემთხვევაში საჭი-

რომ საქონლის დამუშავება ტკიბის საწინააღმდეგო საშუალებებით. თუ ჩვენ ერთ ცხვარზე 30—50 ლარვას მოესპობთ, ძროხაზე ამ დროს 500 და მეტიც დარჩება, და შრომა ამაღლ ჩაივლის, ამიტომ საჭიროა ყველა ცხოველის დამუშავება, განსაკუთრებით მსხვილ-რეოსანი საქონლისა. ამას უნდა მიაქციონ ყურადღება მეცხოველობის მუშავებმა, რადგან არსებულ ინსტრუქციაში ეს არაა აღნიშნული, პირიქით იქ ნაჩვენებია (§ 9), რომ გვემიანი ღონისძიება ტკპ—გადამტანების წინააღმდეგ მეურნეობებში, სადაც არსებობს პირობლაზმოზები, ტარდება დიფერენციაცია ცხოველების მიხედვით. ე. ღ. იმ მეურნეობებში, სადაც ცხვრების ჰემოსპორიდიოზებია, ტარდება ცხვრების პერიოდული ბანვა დარიშხანოვან აბაზანებში და სხვა ცხოველების დამუშავება არაა გეგმით გათვალისწინებული. მეურნეობებში სადაც მსხვილრქოსანი საქონლის ჰემოსპორიდიოზების საშიშროებაა; გათვალისწინებულია მხოლოდ მსხვილრქოსანი საქონლის დამუშავება. სინამდვილეში კი საჭიროა ყურადღება მიექცეს სხვა სასოფლო-სამეურნეო ცხოველებსაც, რადგან მხოლოდ მსხვილრქოსან საქონლის დამუშავებით ჩვენ დაავადებას თავიდან ვერ ავიცდენთ.

დადგენილია, რომ ტკიბები ცხენებზე პარაზიტობის ღრუსინარჩუნებენ მსხვილრქოსან საქონლის ჰემოსპორიდიოზის გადამტანს. იგივე შეიძლება ითქვას ცხენებზე, რომელთა ტკპ-ზებიც მსხვილრქოსან საქონლზე გაფვდებიან და ცხენებზე გადასვლისას ავადებენ მათ პირობლაზმოზით და ნუტალოზით. ამიტომ ერთი ცხოველის პროფილაქტიკის მიზნით საჭიროა ტკიბების მოსპობა მეორე ცხოველზე.

ღონისძიებათა სწორი ორგანიზაციის საწინდარია ღონისძებათა დაღებითი შედეგიანობის. ტკიბებთან ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს გეგმიანად. ღონისძიებანი, რომლებიც ურთიერთ შეთანხმებულად არ ჩატარდება, საჭირო შედეგს არ იძლევა.

ღონისძიებათა სწორი ორგანიზაციისათვის საჭიროა მეურნეობის მდგომარეობის შესახებ მთელი რიგი ცნობების ცოდნა ჰემოსპორიდიოზების შესახებ, ტკპ—გადამტანების შესახებ, მათი სახეობისა და პარაზიტობის სეზონის ცოდნა, საძოვრების

შდგომარეობა მათი დატკიბიანების მხრივ და სხვ. ამიტომ, კეტერსონალი, ზოოტექნიკოსები, ბრიგადირები — მესაქონლეები, ყოველწლიურად უნდა ახდენდენ დაკვირვებებს და ჩანაწერებს, საღ (რომელ ნაკვეთზე), როდის, რა დროს დაიწყო პირველი დატკიბიანება, როდის მიიღწია უმაღლეს წერტილს, როდის დამთავრდა და სხვ. მესაქონლე — პრაქტიკოსების დაკვირვებები სწორი ღონისძიების გამომუშავებაში ძლიერ მნიშვნელოვანია. მაგალითად მეცხვარეებმა იციან როდის ჩნდება პიროპლაზმოზი ცხვრებში, რომელი საძოვრები უფრო საშიშია გაზაფხულზე და ზუსტად შეუძლიანთ დააღინონ საზაფხულო საძოვრებზე არეკვის ვადები.

სოფლის მეურნეობის ორგანიზაციებმა უნდა შეაჯამონ პრაქტიკოს მეცხოველეების დაკვირვებები. საჭიროა პერიოდულად ჩატარდეს ლექციები, საუბრები მეცხოველეობის მუშავებთან იმისათვის, რომ გარკვეულობა მიეცეთ ჰემოსპორიდიზების შესახებ და მათთან ბრძოლაზე.

ეფექტიან ღონისძიებათა ჩატარების მიზნით, რომლებიც უბასუნებენ ადგილობრივ პირობებს, სოფლის მეურნეობის ორგანიზაციებმა უნდა იქონიონ ჰემოსპორიდიოზებისა და მათი გადამტანების გავრცელების რუქები ას აგრეთვე დიაგრამები. რომლებზედაც ნაჩვენები იქნება ჰემოსპორიდიოზების გაჩენის სეზონები, დაავადებული პუნქტების რაოდენობა და სხვ. ამ სამუშაოებზე მოწვეული უნდა იქნან ვეტერინარიული და ზოოტექნიკოსები, ამიტომ ტკიბების გამორკვევა უნდა დაევალოს ვეტლაბორატორიებს, რომლებიც თავის მხრივ ყველა საჭირო ცნობებს საქართველოს კვლევითი სამეცნიერო ვეტერინარული ინსტიტუტიდან მიიღებენ.

ვ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	88
ზოგადი ცნობები ტკიბების შესახებ	3
საძოვრის ტკიბები	4
საძოვრის ტკიბების გვარების გამორკვევის ცარილი	5
საძოვრის ტკიბების ბიოლოგია	9
საძოვრის ტკიბების მნიშვნელობა მეცნოველეობაში	10
საქართველოს მთავარი საძოვრის ტკიბები	16
ბოოფილუს კალგარატუს	22
რიპიცეფალუს ბურზა	26
ჰიალომა მარგინატუმ	29
ჰიალომა ანატოლიკუმ	30
ჰიალომა დეტრიტუმ	32
ჰიალომა სკუპენზე	33
დერმაცენტორის გვარის ტკიბები	34
რიპიცეფალუს ტურანიკუს	35
რიპიცეფალუს სანგუინეუს	35
ტკიბებთან ბრძოლა	36

რედაქტორი ა.ლ. ქაჩახიძე

წელმიზურილია დასბეჭდით 21/XII-49 წ. სასტამით უოჩშათა რაოდენობა  
 3,5 ანაფურის ზომა  $5\frac{1}{2} \times 9$ . ქაღალდის ზომა  $54 \times 84$ . შეკვეთა № 448.  
 ტრაქი 5000. ფე 15929

სტამბა „ლენინსკოე ზნამია“, თბილისი, ძველაძის, 21.

## ବେଳେବେ ରୁଦ୍ଧ ନାମଶ୍ଵର

15. මෙයින්දා පොලෝ සැලැම් මුහුදු පොලෝ පොලෝ පොලෝ පොලෝ

ვასი 2 856.

24/9

Н. В. МАТИКАШВИЛИ  
КЛЕЦЫ ПЕРЕНОСЧИКИ  
ГЕМОСПОРИДИОЗОВ  
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ  
ЖИВОТНЫХ

(На грузинском языке)

ГОСИЗДАТ ГРУЗИНСКОЙ ССР  
Тбилиси — 1950